

ოთარ ჯაფარიძე
OTAR JAPARIDZE 100

ოთარ ჯაფარიძე 100 OTAR JAPARIDZE 100 1920-2020

საიუბილეო გამოცემა
ANNIVERSARY EDITION




წიგნი გამოიცა საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით

BOOK WAS PUBLISHED WITH SUPPORT OF MINISTRY OF SCIENCE,
EDUCATION, CULTURE AND SPORTS



გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების
ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

GEORGE CHUBINASHVILI NATIONAL RESEARCH CENTRE FOR
GEORGIAN ART HISTORY AND HERITAGE PRESERVATION



ოთარ ჯაფარიძე. ოლიკო ჟღენტის ფოტო-არქივიდან

Otar Japaridze. Photo archive of Oliko Zhghenti

ოთარ ჯაფარიძე 100
OTAR JAPARIDZE 100

თბილისი 2020 TBILISI

პროექტის ხელმძღვანელი:	Head of project:
მარიამ გაჩეჩილაძე	MARIAM GACHECHILADZE
წიგნის ავტორი:	Book Author:
მარიამ გაჩეჩილაძე	MARIAM GACHECHILADZE
წიგნზე იმუშავეს:	Autors:
მარიამ გაჩეჩილაძე	MARIAM GACHECHILADZE
სოფიო ჩითორელიძე	NODAR ARONISHIDZE
ნოდარ არონიშვილი	SOPHIO CHITORELIDZE
კონსულტანტი:	Consultant:
ოთარ ჯაფარიძე (უმცროსი)	OTAR JAPARIDZE (Junior)
თარგმანი ინგლისურად:	Translated by
თამარ გიორგაძე	TAMAR GIORGADZE
რედაქტორი:	Editor:
მარინა მედმარიაშვილი	MARINA MEDZMARIASHVILI
კომპიუტერული უზრუნველყოფა:	Layout:
მაკა ცომაია	MAKA TSOMAIA
წიგნში გამოყენებულია გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის სერგო ქობულაძის სახელობის ძეგლთა ფიქსაციის ლაბორატორიის ფოტომასალები	The photography materials used in the book belong to the Sergo Kobuladze Heritage Fixation Laboratory at George Chubinashvili National Research Centre for Georgian Art History and Heritage Preservation
დაიბეჭდა სტამბა:	Printing by
სეზანში	Cezanne

დახმარებისათვის მადლობას ვუხდით: მხატვარ ოთარ ჯაფარიძეს და მის ოჯახს.
ასევე – ქალბატონებს: თამარ ლორთქიფანიძეს, თამარ ბელაშვილს, ირინა ჰაისლერს, მარინა ფანცხავას,
თინათინ ნამგალაშვილს, მარინე მარკოზაშვილს, ნანა ყიფიანს, ოლეკო უღენტს, იზა ბუკიას, მარიამ გაბაშვილს,
ბატონებს: რამაზ ჯაფარიძეს, ზურაბ ჯაფარიძეს, ალექსანდრე კუზანაშვილს, ლევან ზედგინიძეს

We would like to acknowledge and thank Otar Japaridze and his family. Also Tamar Lortkipanidze, Tamar Belashvili,
Irina Heisler, Marina Phantskhava, Tinatin Nagalashvili, Matine Markozashvili, Nana Kipiani, Oliko Zjghenti,
Iza Bukia, Mariam Gabashvili, Ramaz Japaridze, Zurab Japaridze, Alexandre Kuzanashvili, Levan Zedginidze



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
Minister of Education, Science, Culture and Sport of Georgia



გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა
და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი
George Chubinashvili National Research Centre for Georgian Art
History and Heritage Preservation

წიგნი ეძღვნება, მხატვრის დაბადების 100 წლის საიუბილეო თარიღს, რომელიც 2020 წლის 29 ოქტომბერს შესრულდა. მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ამ გამოცემით, XX ს-ის ქართული ხელოვნების ისტორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო მონაკვეთი გახდა ცნობილი და ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისათვის.

ამ გამოცემას, დიდი ემოციური დატვირთვა ჰქონდა თავად ხელოვანისათვის, რომლის შესახებ მონოგრაფია არასდროს არსებულა, უპირველესად მისი გამორჩეულად თავმდაბალი ხასიათის გამო. ხელოვანისათვის, რომელიც უკვე ერთი ასწლეულია ერისა და დარგის სამსახურში დაუღალავად იღწვოდა, რომელიც ღვთისგან ნაბოძებ ნიჭიერებასთან ერთად პატიოსნებისა და კეთილშობილების მაგალითი იყო ყველას-თვის ვინც კი მას იცნობდა.

როგორი ინტერესითა და სიხარულით ელოდა ამ წიგნს... მაგრამ სამწუხაროდ, 27 ნოემბერს, კოვიდ ინფექციით გარდაიცვალა.

წიგნისთვის განკუთვნილ ტექსტებს და გადარჩეულ საილუსტრაციო მასალას, თავად მხატვარი კარგად იცნობდა. ის თავადაც იყო ამ პროცესში ჩართული და ამიტომაც, მიზანშენილად მივიჩნიეთ შემდგომი ცვლილებებისაგან თავის შეკავება და გამოცემაც მომზადდა ისე, როგორც ეს ოთარ ჯაფარიძის სიცოცხლეში იგეგმებოდა.

The book is dedicated to the 100th anniversary of the artist's birth, which was on 29 October 2020. With this publication describing his life and work, a very important and interesting period of the 20th century art history became known and accessible to a wide range of society.

This publication had a deep emotional meaning for the artist, which never had his own monograph book because of his modest character. He was a person who devoted himself to the art and homeland. Besides his God-given talent and candor, he was an example of honesty for everybody.

He was waiting for this publication with great interest and delight... But on 27 November he died with COVID virus.

The texts and selected illustration images for the book were well known to the artist. He was involved in the process and therefore we considered expedient to avoid future changes and the publication was prepared as it was planned in his life.



ოთარ ჯაფარიძე უჩა ჯაფარიძის გამოფენის გახსნაზე. თიბისი არტ გალერეა. 5 აპრილი 2017
ნუცა ლეჟავას ფოტო

Otar Japaridze at the opening of solo exhibition of Ucha Japaridze. TBC Art Gallery. 5th April 2017
Photo by Nuca Lejava

მარიამ გაჩეჩილაძე

მხატვარი ოთარ ჯაფარიძე – ჩემთვის ეს ის შემთხვევაა, როცა არ ვიცი საიდან და-ვიწყო. ოფიციალური „სვლით“, მშრალი ბიოგრაფიული მონაცემებით, შემდგომ ნა-მუშევრების აღნერა-ანალიზით და ხელოვნე-ბათმცოდნეობითი დასკვნებით? არა, ასე არ გამომივა არაფერი... რატომ? იმიტომ, რომ საქმე მაქვს ისეთ ადამიანთან, რომელიც მხატვრულ შემოქმედებამდე თავისი ადამია-ნური ლირსებებითაა სრულიად განსაკუთრე-ბულად შესაფასებელი...

თუმცა რატომ?.. არც ბიოგრაფიული მო-ნაცემები არაა გვერდზე გადასადები, პირი-ქით, ძალზე საყურადღებო და მნიშვნელო-ვანია... მარტო მისი ოჯახის წევრთა ჩამო-ნათვალიც კი იკმარებდა, ოთარ ჯაფარიძის შესახებ შთაბეჭდილების შესაქმნელად...

და მაინც მკითხველი რომ არ დავაბიო, ვარჩევ, დავიწყო ჩვეულებრივად და რუტი-ნულად მივყვე მისი ბიოგრაფიის თხრობას...

ოთარ ჯაფარიძე, საქართველოს დამსახუ-რებული მხატვარი, დაიბადა 1920 წლის 29 ოქტომბერს... და აქ უკვე შემოდის სიხარული იმისა რომ, ახლა 2020 წლის 29 ოქტომბერს ბატონ ითარს დაპადებიდან 100 წელი უს-რულდება... ეს ხომ ძალიან კარგია, რომ ჩვენ ყველას, მათ ვინც იცნობს ბატონ ითარს და მათაც ვინც არ იცნობს, შეგვიძლია მივულო-ცოთ მას დაბადების დღე, ვიამაყოთ იმით, რომ გვყავს სამშობლოს სიყვარულსა და მის სამსახურში დაღლილი ბრძენი, ჭარმაგი ადა-მიანი, გონიერი და ერთგული თავისი საქმის, მაფიქრალი და მზრუნველი, დაღონებული ყოველივე იმით რაც ხდებოდა და ხდება... თუმცა მომავლის ხედვის ოპტიმიზმი ნაკლე-



ოთარ ჯაფარიძე, ?, უკანა პლანზე, მარჯვნივ ლე-ვან რჩეულიშვილი.

1980-იანი წნ. ნანა ყიფიანის ფოტო-არქივიდან

Otar Japaridze, ?, in the background, Leo Rcheulishvili (to the right). 1980s.

Photo archive of Nana Kipiani

ბია მის მოგონებებში, მაგრამ მისი ღვანლის და იმ წარსული დღეების გახსენება, რასაც მხატვრისავე სურვილით ამ წიგნშივე ვაქვეყ-ნებთ, საშუალება გვეძლევა გავიაზროთ და გავაანალიზოთ უკვე არსებული, დადებითი და უარყოფითი, რათა შევძლოთ უკეთესი

მომავლის მიღწევა. გავაცნობიეროთ დიდი ძალისხმევით მოპოვებული მიღწევები და შეცდომებიც, რაც ნებსით თუ უნებურად იქნა დაშვებული იმ სათუთ სივრცეში რასაც ხელოვნების, ამ შემთხვევაში კი სახვითი ხელოვნების სივრცე ჰქვია... და ყოველივე ამის შესახებ, როცა თავად უახლესი წარსულის თანამონაწილე ხელოვანი გიყვება, იმის ბიძგსაც გაძლევს მეტად დაფიქრდე და გადაარჩინო თუნდაც ის, რაც მხოლოდ ბუნდოვნად და მქრქალადლა შემორჩენილი საზოგადოების მექსიერებაში...

ახლა კი დავიწყებ თავიდან... საქართველოს დამსახურებული მხატვარი ოთარ ჯაფარიძე, დაიბადა 1929 წლის 29 ოქტომბერს, ოჩამჩირეში, გრიგოლ ჯაფარიძისა და ნადია ჩიკვაიძის ოჯახში. მხატვრის ბაბუა მალაქია ჯაფარიძე, ცნობილი პედაგოგი, რაჭის მთაბან სოფელში დარში ცხოვრობდა. იგი აქტიური საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი იყო, უდიდესი წვლილი შეიტანა მომავალი თაობების აღზრდის საქმეში. მალაქიას ექვსი ვაჟი ჰყავდა. თავად მას, მხატვრობისადმი მიღრეკილება არ გააჩნდა, თუმცა მისი ვაჟების სახელი მყარად ჩაიწერა ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში – ბატონი ოთარის მამა – გრიგოლი და მამის ტყუპისცალი – ლადო, მხატვრობით იყვნენ გატაცებულნი, ყველაზე უმცროსი ბიძა კი, უჩა – მომავალში საქართველოს სახალხო მხატვარი და ქართული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი წამყვანი ოსტატი გახდა.

ბატონი ოთარის მხატვრობით დაინტერესებაც სწორედ მამისა და ბიძების დამსახურება იყო. მხატვრის მამის – გრიგოლისა და მისი ტყუპისცალი ლადოს სახელს უკავშირდება შოთა რუსთაველის პორტრეტის ახლებური პროტოტიპის შექმნა, რომელიც პირველად 1912 წელს, გრ. დიასამიძის მიერ გამოცემულ გაზეთ „თემში“ დაიბეჭდა და იმავე



შოთა რუსთაველის პორტრეტი. მხატვრები გრიგოლ და ლადო ჯაფარიძეები. 1912 წ. ქალ., ფანქარი.

Portrait of Shota Rustaveli. Artists: Grigol and Otar Japaridze. 1912. pencil on paper.

წელს პაოლო იაშვილის მიერ გამოცემულ ჟურნალ „ოქროს ვერძის“ პირველ ნომერში გამოქვეყნდა.

1940-იან წლებში კი ეს პორტრეტი ტირაჟირებული ლია ბარათების სახით გავრცელდა და და საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

მომდევნო თაობიდან კი ბატონმა ოთარმაც და მისმა ბიძაშვილმა გივიმაც¹ მხატვრობის გზა აირჩიეს. ამის შესახებ ბატონი ოთარი გვიამბობს: „მხატვრობის ეს ტრადიცია გააგრძელა მამას ტყუპისცალის, ლადოს, ვაჟმა – გივიმ. იგი გრაფიკის განყოფილებაზე

¹ სრულიად ახალგაზრდა, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი მხატვარი-გრაფიკოსი გივი ჯაფარიძე (1915-1942), მეორე მსოფლიო ომის დაწყების პირველივე დღეებში მოხალისედ წავიდა ფრონტზე და დაიღუპა.



უჩა ჯაფარიძე, დიმიტრი ჯანელიძე, ოთარ ჯაფარიძე. ხულო, 1976

Ucha Japaridze, Dimitri Janelidze, Otar Japaridze. Khulo, 1976

სწავლობდა, იოსებ შარლემანის ხელმძღვანელობით. დაამთავრა აკადემია, იყო ოფორტის სახელოსნოს განმგებელი აკადემიაში, მაგრამ 1941 წელს, როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, მობილიზაცია გამოცხადდა – 12 საათზე გადმოიცა ინფორმაცია ომის შესახებ და ჩემს ბიძაშვილ გივის გამოძახება უკვე ჰქონდა მიღებული. მეორე დღესვე, 23 რიცხვში წაიყვანეს და დაიღუპა... ამის შემდეგ უკვე მოვიდა ჩემი რიგი“. ანუ, მთლიანობაში, რომ წარმოვიდგინოთ ბატონი ოთარ ჯაფარიძის დიდი ოჯახი მხატვართა „თავ-შეყრის მინი სამყაროს წარმოადგენდა“.

საშუალო განათლებას ოთარ ჯაფარიძე თბილისის პირველ სკოლაში იღებს, რომელსაც 1939 წელს ამთავრებს და სამხატვრო აკადემიაში აგრძელებს სწავლას. მეორე მსოფლიო ომის დაწყების შემდგომ ერთი

წლით ტოვებს აკადემიას და უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე გადადის, სადაც ხელოვნების ისტორიკოსის სპეციალობის დაეუფლება სურს. მაგრამ 1943 წელს კვლავ სამხატვრო აკადემიას უპრუნდება. ამის შესახებ თვით მხატვრის მიერ მონათხობს მოვიყვან: „ცოტა ხნით უნივერსიტეტში გადავედი, სადაც ხელოვნების ისტორიის სპეციალობით ვიყავი დაკავებული, მაგრამ, ფაქტობრივად, ხელოვნების ისტორია არ გვიტარდებოდა, ჩვენ კურსს კი, მე რომ აკადემიიდან წამოვედი, ვახტანგ ბერიძე უკითხავდა მსოფლიო ხელოვნების ისტორიას და ბ-ნი ვახტანგის ლექციებზე სპეციალურად მივდიოდი მისი თანხმობით. ბ-ნი ვახტანგი ძალიან კმაყოფილი იყო ჩემი დაინტერესებით და მეოთხე თუ მეხუთე კურსზე შემომთავაზა, აკადემიას რომ დავამთავრებდი,



ჩელოზე დამკვრელი (ესკიზის ვარიანტი). 1946 წ.
მუყაო, ზეთი, 13,5 X 10,5

Cellist (sketch option). 1946.
Oil on cardboard, 13,5 X 10,5

ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში გამეგრძელებინა მუშაობა, რადგან დაინტერესებული იყო, რომ მხატვრები, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ მხატვრობის პროფესიონალური სკოლა, ერთდროულად ისტორიკოსები ან ხელოვნების ისტორიკოსები გამხდარიყვნენ. შემომთავაზა, რომ ასპირანტურაში ჩამებარებინა, მაგრამ როცა დავამთავრე, ფერწერის ფაკულტეტს მისცეს ასპირანტურის ორი ადგილი და უჩამ იქ მირჩია ჩაბარება. მოვხვდი ასპირანტურაში და სამი წელი ვიყავი აკადემიის ასპირანტი. ამ პერიოდში მუსიკამ გამიტაცა და გადავწყვიტე, ეს ჩემი გატაცება ფერწერაში გადმომეცა და ჩემს

ცხოვრებაში ერთადერთი დიდი ზომის ტილო „კონცერტი“ გავაკეთე².

ოთარ ჯაფარიძის სადიპლომო ნამუშევარიც, სწორედ მუსიკის თემაზე იყო შესრულებული. 1946 წელს ის ამთავრებს თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტს, ფერმწერის დიპლომით. სადიპლომო ნამუშევრის საბოლოო სახის ჩამოყალიბებამდე კი უამრავ ესკიზს ქმნის, შესრულებულს ფანქრით, ტუშით, კალმითა თუ ზეთის საღებავით. ზოგი მათგანი თავადაც დასრულებული დამოუკიდებელი დაზგური ნამუშევარია, სადაც მძაფრად შეიგრძნობა მუსიკოსთა თავდაუზოგავი, მძიმე შრომის პროცესი.

უმეტესწილად გარეშე თვალისთვის უხილავი, კულისებს მიღმა დარჩენილი მუშაობა გადმოცემული ძლიერი, დახვეწილი და თამამი ხელწერით. შესრულების მანერასაც რომ არ მიექცეს ყურადღება, აյ მაინც, თავისთავად გახსენდება იმპრესიონისტული ტენდენციები. მხატვარი გვიჩვენებს სამუშაო პროცესს; მაყურებლისთვის შეცნობადს ხდის შემსრუბელთა დამოკიდებულებას მათ-თვის საყვარელი საქმისადმი. ფიგურათა ინდივიდუალური მოძრაობებითა და პოზებით, აფიქსირებს მათ განცდებსა და ფაქტი დამოკიდებულებას ზოგადად მუსიკისადმი. ამ ნამუშევრების დიდხანს ცქერისას განცდა გიპყრობს, რომ ხმაც გესმის, მუსიკის ხმა ფორმადქმნილი ფიგურათა ექსპრესიული მოძრაობით (ჩელოზე დამკვრელი, ესკიზის ვარიანტი, მუყაო, ზეთი, 13,5x10,5 სმ., 1946; მუსიკოსები. მუყაო, ზეთი, 6x9,7 სმ., 1948).

მრავლად შესრულებულ ამ გრაფიკულ ჩანახატებსა, თუ ფერწერულ ესკიზებში, უკვე ნათლად იკვეთება ოთარ ჯაფარიძე – ახალგაზრდა, დამწყები ხელოვანი, რომელიც უდიდესი შემოქმედებითი პოტენციალით და ნიჭითაა დაჯილდოვებული.

² მარიამ გაჩერილაძე - ინტერვიუ მხატვართან. ოთარ ჯაფარიძე. გ. ჩუბინაშვილის სახ. ეროვნული კვლევითი ცენტრის ელექტრონული ჟურნალი „ARS GEORGICA“ სერია-B, 2015. <http://georgianart.ge>



მუსიკოსები. ქალ., პასტელი, 7 X 14

Musicians. Pastel crayon on paper, 7 X 14

სადიპლომო ნამუშევრიდანვე იკვეთება
მხატვრის ინდივიდუალური, თავისუფალი
წერის მანერა, თამამი ხელწერა.

ოთარ ჯაფარიძის შემოქმედება მოიცავს
სხვადასხვა ჟანრს: ქმნის პორტრეტებს, ნა-
ტურმორტებს, განსაკუთრებულ ადგილს კი
პეიზაჟის ჟანრს უთმობს, რომელთა შორის
სრულიად გამორჩეულია მხატვრის მშობლიუ-
რი მხარის, რაჭის ხედები – სოფელი ღარი,
შოდა, ლები („შოდა დილით“). მუყაო, ზეთი,
25x35 სმ., 1980; „ღარი. დილის ბურუსი“. ტი-
ლო მუყაოზე, ზეთი, 25x16 სმ., 1956), თუმცა
არც საქართველოს სხვა კუთხეების მიმართ
არის გულგრილი. მრავლრიცხოვანია გურიის,
სვანეთის, იმერეთისა და მთის სოფლების ამ-
სახველი პეიზაჟები („გურული ოდა“. მუყაო,
ზეთი, 18x25 სმ., 1961; „სახლი სოფელ ზუ-
დალში“. მუყაო, ზეთი, 28x35 სმ., 1960), ტყი-
სა თუ ხეების გამომხატველი გრაფიკული და
ფერწერული კომპოზიციები („ხის ეტიუდი“.
მუყაო, ზეთი, 35x25 სმ., 1969; „ჩვენი ტყის
სიმფონია“. ქალ., ტუში, აკვარელი, 17x12 სმ.,
2003 და ა.შ); უმნიშვნელოვანესია ასევე საქარ-

ავტოპორტრეტი. ქალ., ნითელი სანგინა,
60 X 55, 1944Self-portrait, Red sanguine on paper,
60 X 55, 1944



სტუმრად ოთარ ჯაფარიძესთან. ოთარ ჯაფარიძე, მარიამ გაჩეჩილაძე. 2014 წელი

Visit with Otar Japaridze, Mariam Gachechiladze. 2014

თველოსა თუ სხვა ქვეყნების ქალაქების ხედები („ძველი თბილისი“. მუყაო, ზეთი, 15x20 სმ., 1944; „ძველი პრაღის ქუჩა“. ქაღ., ტუში, ავ-ვარელი, 20x14 სმ., 1996; „ფლორენცია“. ქაღ., ტუში, აკვარელი, 12x10,5 სმ., 1981).

ოთარ ჯაფარიძის შემოქმედებაში დიდი ადგილი ეთმობა პორტრეტის უანრსაც. მხატვრის არაჩვეულებრივი ნიჭი, თამამი ხელწერა და პიროვნული, შინაგანი ენერგიის გადმოცემის უნარი ახალგაზრდულ ასაკში შესრულებულ საკუთარ ავტოპორტრეტშივე ვლინდება.

პორტრეტებს შორის ასევე გამორჩეულია, უდიდესი ადამიანური სითბოთი და სიფაქიზით გაჯერებული მეუღლის – ლამარა გიორგობიანის პორტრეტიც (ტილო, ზეთი, 33x27 სმ., 1970-იანი წნ.).

ოთარ ჯაფარიძის შემოქმედებაში 1990-

იანი წლებიდან – 2008 წლამდე წამყვანი ადგილი ქართული არქიტექტურული ძეგლების ასახვას ეთმობა. ეს ძირითადად გრაფიკული ნამუშევრებია, რომლებზეც დოკუმენტური სიზუსტითაა დაფიქსირებული ქართული კულტურის უნიკალური ქმნილებები, ადრეული ხანის, შუა საუკუნეებისა თუ მოგვიანო პერიოდის ტაძრები, სამრეკლოები, მიტოვებულ ეკლესიათა ნანგრევები. გარდა მხატვრულისა, ამ ნამუშევრებს განსაკუთრებული ისტორიული ღირებულებაც აქვს, მათზე სკრუპულობური სიზუსტით არის ნაჩვენები ამა თუ იმ არქიტექტურული ძეგლის იმდროის მდგომარეობა რა დროშიც იგი იქნა ასახული მხატვრის მიერ.³

ოთარ ჯაფარიძის შემოქმედების გაზრებისას ერთგვარი ნაკლოვანების გრძნობა უჩ-

³ იმისთვის რომ ნათელი გახდეს ძეგლისადმი მხატვრის დამოკიდებულების ჩვენება ძეგლთა უმრავლესობას პარალელურ მასალად დაკურთხოთ მათი ხედების ამსახველი ფოტო-სურათებიც.



მხატვარი ოთარ ჯაფარიძე ოჯახთან ერთად

Artist Otar Japaridze with his family

ნდება ადამიანს, განცდა იმისა, რომ ხელოვან-
მა ბოლომდე ვერ შეძლო მასში დავანებული
ნიჭისა და ენერგიის გადმოცემა. მიუხედავად
არც თუ მცირე შემოქმედებითი მემკვიდრეო-
ბისა, რასაც მხატვრის ხელი შეეხო, გიჩნდე-
ბა მეტი და მეტი ნამუშევრის ხილვის სურვი-
ლი. თუ რა იწვევს ამ უკმარისობას მხატვრის
ბიოგრაფიაში შეგვიძლია ამოვიკითხოთ.

ნებსით თუ უნებლიერ მას თხუთმეტი
წლით მოუხდა თითემის ჩამოცილებოდა მის-
თვის საყვარელ საქმეს – შემოქმედებით მუ-
შაობას. ამ წლების ისტორიას ამავე წიგნში
გამოქვეყნებულ მისასვე მოგონებებში გაეც-
ნობით, სათაურით „როგორ გავხდი აკადე-
მიის პროექტორი“, სადაც მხატვარი ცოც-
ხლად აღწერს იმ პროცესებს, რაც მაშინდელ
სამხატვრო აკადემიაში მიმდინარეობდა. აკა-
დემიაში, რომელიც მისი ცხოვრების განუ-
ყოფელ ნაწილად იქცა და რომელმაც დიდი
შემოქმედებითი ენერგია წაართვა. მან კი სა-
ნაცვლოდ, თავისი თვდაუზოგავი შრომით, ამ

სასწავლებლის გადარჩენის ისტორიაში, სა-
მუდამოდ დატოვა კვალი ნათელი.

ეს იყო სამხატვრო აკადემიის ცხოვრება-
ში არსებული საუკეთესო წლები, რომელიც
მაშინდელ რექტორთან და ერთ მუშტად შეკ-
რულ კოლექტივთან ერთად შეიქმნა. ვისაც
კი მოუწია ამ წლებში აკადემიის კედლებში
ყოფნა, თითქმის ყველა ნოსტალგიითაა გან-
მსჭვალული და სიყვარულით იხსენებს განუ-
მეორებელ დროს, ზოგადად აპოლონ ქუთა-
თელაძის რექტორობისა (1956-1972წწ.) და
მის მხარში მდგომ ოთარ ჯაფარიძის პრო-
რექტორობის პერიოდს (1968-1983 წწ.).

2014 წელს ბატონ ოთართან ჩაწერილი ინ-
ტერვიუს დროს, ჩემს კითხვაზე: „პროექტო-
რობამ ძალიან შეგიშალათ ხელი შემოქმედე-
ბით მუშაობაში?“ – ბატონი ოთარი ასე მპა-
სუხობს: „ცხადია, რა თქმა უნდა შემიშალა.
თხუთმეტი წელი შევალიერ ამ თანამდებობას,
იმიტომ, რომ მე ფორმალურად მოვალეობის
შესრულება არ შემიძლია. მთელი ჩემი არსე-



ოთარ ჯაფარიძე მეულლესთან, ლამარა გიორგობიანთან ერთად. 1952

Otar Japaridze with his wife, Lamara Giorgobiani. 1952

ბით ვიყავი ჩართული ამ საქმეში და წარმოიდგინეთ, წელიწადში ათი-თერთმეტი თვე არანაირი საშუალება არ მქონდა შემოქმედებითი მუშაობის. მხოლოდ ზაფხულში, რაჭაში რომ წავიდოდი, იქ ვაკეთებდი ესკიზებს⁴. თუმცა არასდროს უნანია, რომ აპოლონ ქუთათელაძის შემოთავაზებულ წინადადებას დათანხმდა და მის გვერდით იღწვოდა იმ დიდი საქმის-თვის რასაც აკადემიის გადარჩენა ერქვა.

ბატონი ოთარი დიდად აფასებდა აპოლონ ქუთათელაძის მიერ აკადემიისთვის განეულ ღვანწლს. აპოლონისადმი მიძღვნილ მოგონებების წიგნში ოთარ ჯაფარიძე წერს: „დღეს მე თავს ბედნიერად ვთვლი, რომ საშუალება მომეცა უშუალო მოწმე ვყოფილიყავი იმ უზარ-მაზარი ცვლილებებისა, რომლებიც მაშინ აკადემიაში ბატონი აპოლონის ჩანაფიქრითა და ენერგიული ხელმძღვანელობით ხდებოდა. მხოლოდ ჩამოთვლაც კი იმისა, რაც მაშინ



ოთარ ჯაფარიძე მეულლესთან, ლამარა გიორგობიანთან ერთად. 1952

Otar Japaridze with his wife, Lamara Giorgobiani. 1952

4 მარიამ გაჩეჩილაძე - ინტერვიუ მხატვართან. ოთარ ჯაფარიძე. გ. ჩუბინაშვილის სახ. ცენტრის ელექტრონული ჟურნალი „ARS GEORGICA“ სერია-B, 2015. <http://georgianart.ge>



ოთარ ჯაფარიძე. მირზაანი, 1981

Otar Japaridze. Mirzaani, 1981

თბილისის სამხატვრო აკადემიაში კეთდებოდა, გაკვირვებას – როგორ ახერხებდა ეს ადამიანი ამდენი, შეიძლება ითქვას, იმ პერიოდისათვის ფანტასტიკური იდეების ხორცებისა და ცხოვრებაში განხორციელებას. დახურვისათვის განწირულ აკადემიაში ბატონმა აპოლონმა თავისი დაუშრეტელი ენერგიის, ავტორიტეტისა და პიროვნული ხიბლის წყალობით შეძლო ისეთი ძირეული ორგანიზაციული ცვლილებების გატარება, რომლებმაც შემდგომი წლების მანძილზე თბილისის სამხატვრო აკადემია გადააქცია საპჭოთა კავშირის ერთ-ერთ მოწინავე და ავტორიტულ უმაღლეს სამხატვრო სასწავლებლად⁵.

არ შემიძლია არ შევეხო ბატონი ითარის დიდ, სიყვარულითა და სითბოთი სავსე ოჯახსაც, მაგრამ ისევ და ისევ ჩემს საუბარს მისივე მონაყოლის მოყვანას ვარჩევ, რომელიც ასევე მასთან შემდგარი ინტერვიუდანაა ამო-

ნარიდი: „ადამიანი, როდესაც ჩემ ასაკს მიაღწევს, ძალაუნებურად იხედება უკან. აი, გავიარე რაღაც ცხოვრება და რა გავაკეთე?... ხელოვნებაში, რა თქმა უნდა, ბევრი რამ ვერ გავაკეთე... ბევრად მეტი მინდოდა, მაგრამ საშუალება არ მომეცა, რადგან როდესაც ცოლი შევირთე და ჩემი უფროსი ვაჟი იყო ორი თვის, მამაჩემი გარდაიცვალა მოულოდნელად... მანამდე მთლიანად მამაჩემის კმაყოფაზე ვიყავით და უცებ, ალმოვჩინდი ოჯახის მარჩენალი. იმ დროს ვმუშაობდი სამხატვრო სასწავლებელში, ნახევარ შტატზე ვიყავი, გამიზარდეს შტატი და გარკვეული მუდმივი შემოსავალი მქონდა. ამაზე უარის თქმა არ შემეძლო, იმას რომ დავლოდებოდი, აი, გავაკეთებ ნახატს და გაიყიდება – ასე არ გამოვიდოდა. გაგვიჩნდა მეორე და მესამე ბავშვი და მე, რა თქმა უნდა, ვალდებული ვიყავი, ჩემი ოჯახის აუცილებელი მოთხოვნები დამეკმაყოფილებინა. ვერ ვრისკავდი, არა ვარ იმ დონის მხატვარი, რომ რასაც დავხატავდი, ყველაფერი იმ წუთას გაყიდულიყო. რაც შეეხება ოჯახს – მყავს სამი შვილი და ცხრა შვილიშვილი და ვთვლი: – ჩემი არსებობის ყველაზე დიდი გამამართლებელი არის ის, რომ შევძელი ასეთი მრავალრიცხოვანი ოჯახი შემექმნა და დამეტოვებინა. თქვენთვის რომ უფრო გასაგები იყოს ჩემი გრძნობა, ხომ გითხარით, ბაბუაჩემს, რომელიც მასწავლებელი იყო, ჰყავდა ექვსი ვაჟი და თვლიდა, რომ მისი შთამომავლობის გაგრძელება უზრუნველყოფილია. ამ ექვს ვაჟს საერთო ჯამში, ერთად, ჰყავდა ხუთი შვილი, აქედან – სამი ქალი და ორი ვაჟი. ჩემი უფროსი ბიძაშვილი, გივი, ფრონტზე დაიღუპა და დავრჩი მხოლოდ მე, რომელსაც შემეძლო გამეგრძელებინა ბაბუაჩემის გვარი. და მე ჩემი თავი მოვალედ ჩავთვალე, რომ ეს გამომესწორებინა და როდესაც ჩემს ნარსულზე ვფიქრობ, ეს არის ყველაზე დიდი რამ, რისი გაკეთებაც შევძელი. ახლა უკვე ჩემი უფროსი შვილიშვილი, პროფესორია, იაპონიაში დაიც-



ოთარ ჯაფარიძის პერსონალური გამოფენის გახსნა. გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის საგამოფენო დარბაზში „Ars Georgica“. 3 თებერვალი 2016; გიორგი პაპაშვილის ფოტო

Opening of solo-exhibition of Otar Japaridze at Ars Georgica (exhibition hall of George Chubinashvili National Research Centre, 3rd February 2016; Photo by Giorgi papashvili

ვა დისერტაცია, მეორე არქიტექტორია, ისიც მუშაობს უკვე, ბავშვები სტუდენტები არიან და აი, მე მოვრესნარი ამას ყველაფერს....

ჩემი მეუღლე ექიმი იყო, 13 წელია უკვე, რაც აღარა მყავს. ძალიან მძიმე დანაკლისი იყო, მაგრამ რა ვენა.. ახლა აქ ჩემი უფროსი ვაჟი ცხოვრობს. როგორც გითხარით, დიდი ოჯახი შევქმნი, მაგრამ შემდეგ ხომ ყველაფერი ვითარდება, თანდათან იყოფა და ჩემი საერთო ოჯახი სამად გაიყო. ამჟამად ცალკე-ცალკე ცხოვრობს ყველა. ამას ერთგვარი სირთულე ახლავს იმ მხრივ, რომ

ძალიან ხშირად ვეღარ ნახულობ, მაგრამ ბუნებრივი მოვლენაა და რას იზამ. სამდურავი არაფერი მაქვს არც ჩემი შვილების და არც შვილიშვილების მიმართ.“⁶

თავად ოთარ ჯაფარიძის სახელის ხსენებისას სიყვარულითა და სითბოთი უნათდებათ სახე ადამიანებს, მათაც ვისაც ოდნავი შეხება ჰქონია და მათაც ვისაც მიეცა ბედნიერება, რომ ახლო ნაცნობობა და ურთიერთობა ჰქონიდა მასთან და იქვე ყველა, მის საოცარ თავმდაბლობაზე და კეთილშობილებაზე იწყებს ლაპარაკს.

⁶ მარიამ გაჩეჩილაძე - ინტერვიუ მხატვართან. ოთარ ჯაფარიძე. გ. ჩუბინაშვილის სახ. ცენტრის ელექტრონული ჟურნალი „ARS GEORGICA“ სერია-B, 2015. <http://georgianart.ge>



ოთარ ჯაფარიძის პერსონალური გამოფენა. ზურაბ ჯაფარიძე, ოთარ ჯაფარიძე, რომა ცუხიშვილი, ნოდარ აფციაური. გ. ჩუბინაშვილის ეროვნული კვლევითი ცენტრის საგამოფენო დარბაზში „Ars Georgica“.

3 თებერვალი 2016; გორგი პაპაშვილის ფოტო

Solo-exhibition of Otar Japaridze. Zurab Japaridze, Otar Japaridze, Roma Tsukhishvili, Nodar Aptsiauri. Solo exhibition at Ars Georgica (exhibition hall of George Chubinashvili National Research Centre, 3rd February 2016; Photo by Giorgi papashvili

გაგაცნობთ თუნდაც ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, ბატონ სამსონ ლეჟავას მცირე მოგონებას: „ბატონი ოთარ ჯაფარიძე ბაშვილის პერიოდიდან მახსოვს. მას ყოველთვის გამოარჩევდა სრულებით ბუნებრივი, შინაგანი, ღრმა კეთილშობილება. იშვიათი მოკრძალებულობაც ახასიათებდა. მაღალ თანამდებობებზე ყოფნის დროსაც – არაჩევეულებრივი უბრალოებითა და სათნოებით იქცევდა ყურადღებას.“

სტუდენტობის ხანაში მასთან ერთად ჩეხოსლოვაკიაში ვიმოგზაურე. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, როგორც უმცროს

მეგობარს, ისე მეპყრობოდა, რაც მისი დიდი შინაგანი კულტურის გამოხატულება იყო. ეს მოგზაურობა მასთან ურთიერთობის შედეგადაც დაუვიწყარია ჩემთვის.


ბევრად გვიან გავიგე, თუ რაოდენ ნიჭიერი ფერმწერი ბრძანდებოდა. მისი მოკრძალებულობის შედეგად, თითქოს ჩრდილში ყოფნას ირჩევდა და ამიტომაც პოპულარული და აღიარებული არ იყო, როგორც ოსტატი, რაც უსამართლობად მიმარინია...

ამ სიკეთით აღსავსე პიროვნებას მუდამ სიყვარულით ვიხსენებ და წრფელად ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს“.

ოთარ ჯაფარიძის მიმართ პატივისცემის გამოხატვის სურვილი მრავალმა ადამიანმა გამოთქვა, მათ შორის საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა ნუზარ მექმარიაშვილმაც, რომელიც მას ამგვარი სურვილებით მიმართავს: „ბატონო ოთარ, გილოცავთ საიუბილეო თარიღს! თქვენი ცხოვრებით ხართ მონაწილე და მოწმე მრავალი მოვლენისა ქართულ სახვით ხელოვნებაში, მრავალი წელი მიუძღვენით თბილისის სამხატვრო აკადემიაში თაობების აღზრდას, რაც დიდად დასაფასებელია. მთელი თქვენი ცხოვრება არის მაგალითი ღირსეული ცხოვრებისა და შემოქმედებისა. გისურვებთ

იცხოვროთ კიდევ მრავალი წელი გარშემორტყმული თქვენი ოჯახის და კოლეგების სიყვარულით. ბედნიერ იუბილეს გისურვებთ!“

ოთარ ჯაფარიძის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნის ეს მცირე შესავალი წერილი, ჩემი მხრიდანაც საუკეთესო სურვილებით მინდა იყოს გაჯერებული, მინდა კიდევ ერთხელ გამოვხატო პატივისცემა და გულწრფელი მადლობა გადავუხადო ადამიანს, რომელმაც თავისი პიროვნული მოვალეობის პირნათლად შესრულებით ღირსეული, პროფესიული და ადამიანური ვალი მოიხადა თავისი საყვარელი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე.



ოთარ ჯაფარიძის პერსონალური გამოფენის პლაკატი. 3-12.II.2016

Poster for solo-exhibition by Otar Japharidze. 3-12.II.2016


ოთარ ჯაფარიძე

როგორ გავხდი სამხატვრო აკადემიის პროფესიონლი

სამხატვრო აკადემიის პროფესიონლი სრულიად მოულოდნელად გავხდი, ისე რომ ამის შესახებ არა მხოლოდ არასდროს მიფიქრია, არამედ საერთოდ გონიერიც კი არასდროს გამივლია.

აპოლონ ქუთათელაძემ, აკადემიის რექტორად დანიშვნის შემდეგ¹, ჩაიფიქრა და წამოიწყო კიდეც არნახული რეორგანიზაცია, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ დამოუკიდებლობის დაკარგვის პირას მყოფი ამ სასწავლებლის გადარჩენა, არამედ აკადემიის ცხოვრებაში სრულიად ახალი ეპოქის დაწყება.

როდესაც აპოლონმა სამხატვრო აკადემია ჩაიბარა, იქ სახვითი ხელოვნების სპეციალობები (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა) ოფიციალურად არ არსებობდა და ისინი მონუმენტალურ-დეკორატიული ფერწერის და ქანდაკების სახელით აგრძელებდნენ მუშაობას. ამავე დროს გაიხსნა საღამოს განყოფილება, რომელიც იდეით განკუთვნილი იყო იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დღისით მუშაობდნენ და ჰქონდათ სურვილი ასე თუ ისე დაუფლებოდნენ მხატვრობის ანაბანას. ცხადია ვერც სამუშაო პირობები და ვერც პროგრამები ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. სხვათა შორის მეც ორი თუ სამი წელი ვმუშაობდი საღამოს განყოფილებაზე და კარგად ვიყავი ინფორმირებული იქ



ოთარ ჯაფარიძე. 2014 წლის ფოტო
Otar Japaridze. Photo taken in 2014

¹ აპოლონ ქუთათელაძე (1899-1972) სამხატვრო აკადემიის რექტორად დაინიშნა 1956 წელს და ამ თანამდებობაზე იყო სიცოცხლის ბოლომდე (1972).

შექმნილი სიტუაციის შესახებ. აკადემიის ყოფნა-არყოფნის საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდებოდა. უკვე მუსირებდა აზრი, რომ აკადემიას ორ დანარჩენ სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებელთან² ერთად ხელოვნების ინსტიტუტში გაერთიანება ელოდებოდა, რაც ცხადია სამივესთვის დამლუპველი იქნებოდა.

ასეთ კრიტიკულ მომენტში აპოლონმა ყველაზე სწორი და რადიკალური გადაწყვეტილება მიიღო. იმის მაგივრად, რომ ეცადა მოეხერხებინა როგორმე ოფიციალურად აღედგინა დაზგური სპეციალობები და ეზრუნა მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო პირობების შექმნაზე, მან გადაწყვიტა შეეთავაზებინა ხელისუფლებისათვის სრულიად ახალი ტიპის უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლის ჩამოყალიბება, რომელშიც გაერთიანებული იქნებოდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ყველა დარგი. სწორედ ამ კრიტიკულ დროს ჩაესახა მას გონებაში ახალი ტიპის უმაღლესი სასწავლებლის მოდელი, რომლის ხორცშესხმასაც თავისი სიცოცხლის დარჩენილი წლები მოახმარა. ასეთი რადიკალური გადაწყვეტილება თავისთავად თვით აპოლონის მებრძოლი ბუნებიდან გამომდინარეობდა. საბედნიეროდ მისმა ამ გაბედულმა და გრანდიოზულმა იდეებმა ნოყიერი ნიადაგი პოვეს საქართველოს იმდროინდელ ხელმძღვანელობაში. როგორც ჩანს აპოლონმა აკადემიის მომავლის ხატოვანი და ემოციური წარდგენით იმდენად დიდი და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს იმდროინდელ ლიდერზე – ვასილ მუავანაძეზე, რომ იგი მისი ყველა იდეის და წამოწყების უპირობო, მხურვალე მხარდამჭერი გახდა. ვფიქრობ, აპოლონის შორსმიმავალი ამბიციური გეგმები გარკვეულწილად ემთხვეოდა ცენტრალური კომიტეტის მდივნის სურვილებსაც.



აპოლონ ქუთათელაძე

Apolon Kutateladze

უნდა აღინიშნოს, რომ იმ პერიოდში (1950 – 1980-იანი წლები) საქართველო განიცდიდა ომისშემდგომი აღმავლობის საუკეთესო წლებს. იგი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული რესპუბლიკა იყო როგორც ეკონომიური მდგომარეობით, ისე განსაკუთრებით, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების მაღალი დონით. სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა აპოლონის ამბიციური გეგმების განხორციელების შესაძლებლობა. ომის შემდგომ წლებში დასავლეთიდან (განსაკუთრებით გერმანიდან) შემოსული საქონელი

² იგულისხმება სამი სახელოვნებო სასწავლებლის – სამხატვრო აკადემიის, თეატრალური ინსტიტუტის და კონსერვატორიის გაერთიანების მცდელობა.

ჩვენი ნაწარმისაგან გამოირჩეოდა დახვეწილი და მიმზიდველი ფორმებით. ყველაფერში ნათლად იგრძნობოდა, რომ ამ ნაწარმის შექმნაში, განსაკუთრებით მათ გარეგან სახესა და შეფუთვაში, ლომის წილი მხატვარ-დიზაინერებს ეკუთვნოდათ. სწორედ ამაზე გააკეთა აპოლონმა განსაკუთრებული აქცენტი და დაარწმუნა ხელმძღვანელობა, რომ საქართველოში წარმოებული საქონლის კონკურენტუნარიანობისთვის აუცილებელი იყო, მათ შექმნაში სპეციალისტ მხატვარ-დიზაინერებს მიეღოთ მონაწილეობა.

აპოლონმა თავისი გეგმის დაუყოვნებლივი რეალიზაცია აკადემიაში დეკორატიული გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობების ჩამოყალიბებით დაიწყო. ამ საქმეში მას თავიდანვე დიდ დახმარებას უწევდა მრავალმხრივი ინტერესების მქონე მხატვარი დავით (დოდიკა) ციციშვილი³ – რომელსაც თავისი ფართო ერულიციის გამო აკადემიაში „მოსიარულე ენციკლოპედიას“ ეძახდნენ. დავითის დახმარებით აპოლონმა ახალგაზრდა მხატვრების ჯგუფი შეარჩია, რომლებიც ახალი სპეციალობების დასაუფლებლად ხანგრძლივი მივლინებით გაიგზავნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში. ამავე დროს აღმოჩნდა, რომ ლენინგრადისა და მოსკოვის გამოყენებითი ხელოვნების ინსტიტუტები დამთავრებული ჰქონდა რამდენიმე ქართველ ახალგაზრდას და ისინი აპოლონმა დაუყოვნებლივ მოინვია სამხატვრო აკადემიაში სამუშაოდ. ერთი სიტყვით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ხელშეწყობით დაიწყო გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობების ჩამოყალიბების ჩამოყალიბების ფართო პროგრამის დაუყოვნებლივი განხორციელება. აკადემიას გამოეყო დამატებითი საშტატო ერთეულები და პედაგოგიური შემადგენლობის

შესავსებად ჩატარდა რამდენიმე კონკურსი. სწორედ ერთ-ერთ პირველ კონკურსში, 1960 წლის იანვარში, მეც ვმონაწილეობდი. ამ გადაწყვეტილების მიღებაში მნიშვნელოვანი როლი თვითონ აპოლონის შემოთავაზებამ შეასრულა. ასევე აქტიურად მაქეზებდა აკადემიის საბჭოს მაშინდელი მდივანი შურა წერეთელი. ის ფიქრის გორაზე სამხატვრო სასწავლებლის მახლობლად ცხოვრობდა, ამიტომ ქუჩაში ხშირად მხვდებოდა და ყოველ შეხვედრაზე, როგორც წესი, აუცილებლად მარწმუნებდა, რომ სამხატვრო აკადემიაში პედაგოგად გადასვლა სასარგებლო იქნებოდა როგორც ჩემთვის, ისე აკადემიის-თვისაც. მეც ერთგვარი ჭოჭმანის შემდეგ გადავწყვიტე კონკურსში მიმელო მონაწილეობა. როგორც ეხლა ვხვდები, ეს გადაწყვეტილება არ იყო საკმაოდ მყარი. როდესაც გავიგე, რომ კონკურსი საკმაოდ დიდი იყო, და რაც მთავარია, მასში მონაწილეობდნენ ის ნიჭიერი ახალი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც რექტორის პრძანების თანახმად უკვე პედაგოგებად მუშაობდნენ, გადავწყვიტე საკონკურსოდ საბუთები აღარ შემეტანა. საბუთების წარდგენის ვადის გასვლამდე ერთი დღით ადრე სამხატვრო სალონში შემთხვევით ბატონ აპოლონს შევხდი და მან დანახვისთანავე მკითხა, შევიტანე თუ არა საბუთები. მე ვუთხარი, რომ კონკურსის სირთულის გამო გადავითიქრე. აპოლონი ძალიან გაბრაზდა და კატეგორიულად დამავალა დარჩენილ დროში ყველა საჭირო მასალა ჩამებარებინა აკადემიის კანცელარიაში. მე უკვე მეტი გზა აღარ მქონდა, თუნდაც მხოლოდ აპოლონის ხათრით უნდა მიმელო მონაწილეობა კონკურსში. ჩემდა გასაკვირად, საბოლოო შედეგების მიხედვით, დავიკავე ფერწერის კათედრის მასწავლებ-

³ დავით ციციშვილი (1901-1986) საქართველოს სახალხო მხატვარი. 1959 წელს აპ. ქუთათელაძესთან ერთად თბილისის სამხატვრო აკადემიაში დაარსა გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტი; ააღორძინა ქართული ხალხური შემოქმედების მრავალი მივიწყებული დარგი: ტიხორული მინანქრის, ლურჯი სუფრისა და ძველი ქართული ფერადი დაჩითვის ტექნოლოგია. იხ. <http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00007713/>

ლის ნახევარი საშტატო ერთეული. შემდეგი, 1961 წლიდან კი უკვე უფროსი მასწავლებლის მთლიან შტატზე გადავედი. ამასთან დაკავშირებით, ცხადია, მომიხდა იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებლის დატოვება, რაც საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა, რადგან სასწავლებელში იმ პერიოდში საქმის ერთგული საუკეთესო ადამიანები იყვნენ შეკრებილნი. სასწავლებელმა არა მხოლოდ ჩემ ცხოვრებაში დატოვა დადებითი კვალი, არამედ ზოგადად სამხატვრო განათლების დონის ამაღლების საქმეშიც ფასდაუდებელი როლი შეასრულა. მე რომ სასწავლებელთან მთლიანად არ გამერყვიტა ურთიერთობა, ვალია (ვალენტინ) შერპილოვმა ფერწერის ტექნოლოგიის საათები დამითმო და კიდევ რამდენიმე წელი ვასწავლიდი ფერწერის განყოფილების მეორე კურსის მოსწავლეებს. სწორედ ამან გადამაწყვეტინა ის, რომ სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტებისათვის ფერწერის ტექნიკისა და ტექნოლოგიის სახელმძღვანელო დამენერა, რაც რამდენიმე წლის მუშაობის შედეგად შევასრულე კიდეც.

როგორც უკვე აღნიშნე, 1960-იანი წლებიდან დაიწყო სამხატვრო აკადემიის მიზანდასახული გაფართოება და აღმასვლა. გრიბოედოვის ქუჩის № 22 სახლში (ე. ნ. არშაკუნისეული) იმ დროისათვის, აკადემიასთან ერთად, ბევრი კერძო მობინადრეც ცხოვრობდა. იმისთვის, რომ სამხატვრო აკადემიის განვითარებას ხელი არ შეშლოდა, ქალაქის საბჭომ დაიწყო ამ შენობიდან მოსახლეობის გაყვანა. ეს პროცესი დროში საკმაოდ გაიწელა, მაგრამ რამდენიმე წელიწადში როგორც № 22-ში, ასევე № 24-ში (ე. ნ. ქობულაშვილისეული სახლი) მთელი ფართი აკადემიის განკარგულებაში გადავიდა. ამავდროულად აპოლონმა დაიწყო № 22 შენობის ირანელი ოსტატების მიერ მოხატული სარკეებიანი დარბაზების რესტავრაცია. ამისათვის მან სპეციალურად ჩამოყვანა უორა ხალათოვი. გრძელი საგამოფენო დარბაზი, ადრე გაკეთებული,

დაბალი ტიხერებისაგან გაანთავისუფლა და რესტავრირებული დარბაზების ჩვენებასთან ერთად, ამ სივრცეში, აკადემიის სტუდენტების ნამუშევრების რეტროსპექტიული გამოფენის მოწყობაც დაგეგმა. აპოლონმა ეს განზრახვა მალევე მოიყვანა სისრულეში, რის წყალობითაც აკადემიის მუზეუმი შეტანილი იქნა საქართველოში სტუმრად ჩამოსული უმაღლესი რანგის მოღვაწეების მიერ მოსანახულებელ ობიექტთა სიაში. დიდი დარბაზი, ზედა განათებით, მთლიანად ფერწერას დაეთმო, ხოლო რესტავრირებულ დარბაზებში გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობების საკურსო და სადიპლომონ ნამუშევრები განლაგდა. მუზეუმის ექსპოზიცია მართლაც შთამბეჭდავი გამოვიდა და ყველა მნახველის აღფრთოვანებას იწვევდა.

1960 წლიდან მოყოლებული, აკადემია, ჩემს თვალინი, არნახული ტემპით იზრდებოდა და ვითარდებოდა. თანდათან ემატებოდა ახალი სპეციალობები და კათედრები, იზრდებოდა სტუდენტების რაოდენობაც. მიუხედავად იმისა, რომ მთელი შენობა აკადემიის განკარგულებაში გადავიდა, სასწავლო ფართის ნაკლებობა კვლავ იყო, რაც ხელს უშლიდა შემდგომ განვითარებას. განთავისუფლებული ფართი საჭიროებდა სრულ, კაპიტალურ გარემონტებას, რათა გამოსადეგი ყოფილიყო სასწავლო პროცესისათვის. ამით აპოლონმა კარგად ისარგებლა თავისი მიზნების განსახორციელებლად და მთავრობის მიერ აკადემიის კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი არც თუ მცირე თანხით ახალი, მაღლივი სასწავლო კორპუსის მშენებლობა დაიწყო. ცხადია, მთელი საპროექტო სამუშაოები უსასყიდლოდ შეასრულეს აკადემიის არქიტექტურული გეგმა-რებისა და საინჟინრო კათედრებმა. კორპუსის მშენებლობას ხელი მოკიდა რუსთავის ერთ-ერთმა სამშენებლო ტრესტმა, რომელსაც სათავეში ედგა შესანიშნავი პიროვნება, მოქანდაკე გია ჯაფარიძის მამა, ზურაბ ჯაფარიძე.

ახალი სპეციალობების დამატებამ და შე-საბამისად, სტუდენტთა რაოდენობის ზრდამ თავისთავად დააყენა აკადემიის ხელმძღვანელობაში გარკვეული რეორგანიზაციის საკითხი. დაარსების დღიდან 1968 წლამდე სამხატვრო აკადემიას დირექტორი და ერთი მოადგილე ედგნენ სათავეში. მთავრობამ დააკმაყოფილა აპოლონის თხოვნა და დამატებით სასწავლო დარგის პროექტორის (ამიერიდან დირექტორი უკვე რექტორად იწოდებოდა, ისევე როგორც ყველა სხვა უმაღლეს სასწავლებელში) შტატი დაუმტკიცა.

იმდროისათვის ახალი სასწავლო კორპუსი უკვე მწყობრში იყო ჩამდგარი და ფერწერის კათედრას თავის აუდიტორიებიანად მერვე სართული მთლიანად ჰქონდა დაკავებული. კათედრის მთელი შემადგენლობა პედაგოგ-სტუდენტებიანად ფრიად კმაყოფილი ვიყავით და მთელ სამუშაო დროს ახალ სასწავლო კორპუსში ვატარებდით. აკადემიის რექტორატი ძველ შენობაში დარჩა და ამდენად რაიმე ახალი ამბის ფერწერის კათედრამდე მოღწევას დიდი დრო სჭირდებოდა. ამ მდგომარეობას ისიც აძლიერებდა, რომ უამრავ საორგანიზაციო საქმეებში მთლიანად ჩართული აპოლონი კათედრაზე საკმაოდ იშვიათად ახერხებდა ამოსვლას. სწორედ ამით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ სასწავლო დარგის პროექტორის შტატის დამატების ამბავმა ჩვენამდე დაგვიანებით მოაღწია და მაინცა და მაინც დიდი ინტერესი არც გამოუწევია. როგორც შემდგომში გავიგე, ფერწერის კათედრისაგან განსხვავებით, რექტორატსა და მათთან დაახლოვებულ პირებს შორის ახალი პროექტორის დანიშვნის პერსპექტივას და შესაძლო კანდიდატურის შერჩევას ფრიად ცხოველი ინტერესი გამოუწევია.

ჩემთვის, სრულიად მოულოდნელად, ეს ამბავი კი, ასე დაიწყო: 1968 წლის მარტის დასაწყისის ერთ საღამოს, როდესაც მთელი ოჯახი სახლში ვიყავით და დასაძინებლად ვემზადებოდით, ტელეფონმა დარეკა. ყურმილი მე ავიღე და აქედან დაიწყო მოულოდ-

ნელობების და უცნაურობების მთელი კასკადი. ყურმილიდან აპოლონ ქუთათელაძის ხმა გავიგონე, მისი ხმის არევა სხვაში შეუძლებელი იყო. იგი მოკითხვის შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადავიდა. მკითხა, ვიცოდი თუ არა, რომ აკადემიას დამატებით სასწავლო დარგის პროექტორის შტატი გამოეყო. ამაზე მე გულახდილად ვუპასუხე, რომ ფერწერის კათედრაზე ყური მოვკარი ამის შესახებ საუბარს, მაგრამ ამის მეტი არაფერი გამიგია. ამაზე აპოლონმა აღნიშნა, რომ ეს ფაქტი კიდევ ერთი დადებითი მომენტია ჩემ სასარგებლოდ, შემდეგ კი მოკლედ ამიხსნა შექმნილი მდგომარეობა. მან მითხრა, რომ შესაფერისი კანდიდატურის შერჩევის პროცედურა საკმაოდ გაინელა დროში და საჭირო იყო პრობლემის უახლოეს დღეებში გადაჭრა. მე ვუსმენდი და ვერაფრით ვერ ვხვდებოდი რა კავშირი ჰქონდა ყოველივე ამას პირადად ჩემთან. საუბრისას აპოლონმა მითხრა, რომ ვაკანტური ადგილის შესაფერის პიროვნებად მე მივაჩნდი. ამასთანავე რამდენიმე არგუმენტი დამისახელა, რის გამოც ჩემი მხრიდან შემოთავაზებაზე დათანხმება მისაღები უნდა ყოფილიყო.

პირველი მისი დაპირება იყო, რომ ყოველმხრივ ეცდებოდა დაეჩქარებინა მოსკოვში „ვაკ“-ში გაგზავნილი საბუთების საფუძველზე ჩემთვის დოცენტის წოდების დამტკიცება, რაც საშუალებას მომცემდა მიმელო პროექტორის სრული ხელფასი 700 მანეთის ოდენობით, ეს კი აპოლონის თქმით გამათავისუფლებდა ჩემი ხელფასის დამატებით, „ხალტურის“ ძებნის აუცილებლობისაგან. მთავარი კი რა თქმა უნდა იყო ის, რომ მე საშუალება მომეცემოდა მთელი ჩემი ენერგია და ძალისხმევა აკადემიაში მუშაობაზე გადამეტანა. აპოლონმა კარგად იგრძნო, როგორი მოულოდნელი იყო ჩემთვის ეს შემოთავაზება და მითხრა, რომ პასუხის გაცემას არ მაჩქარებს და მეორე დილით მასთან მისვლა დამავალა, რათა ყველაფერი საბოლოოდ გადაგვეწყვიტა.

როდესაც საუბარი დავამთავრე, დავინა-



თბილისის სამხატვრო აკადემია. ოთარ ჯაფარიძე, აპოლონ ქუთათელაძე, დავით ციციშვილი, ელგუჯა სანადირაძე
Tbilisi State Academy. Otar Japaridze, Apolon Kutateladze, David Tsitsishvili, Elguja Sanadiradze

ხე რომ ჩვენები გაკვირვებული თვალებით
მიყურებდნენ და ელოდებოდნენ ამეხსნა
მათთვის, რა ხდებოდა. როდესაც განვმარ-
ტე, რომ აპოლონმა პრორექტორის ვაკან-
ტური თანამდებობის დაკავება შემომთა-
ვაზა, მათი რეაქცია მძაფრი და ერთმნიშ-
ვნელოვანი იყო – უდიდესი სიხარული ჩემი
დაფასების გამო. დედამ სევდანარევი სი-
ხარული ვერ დამალა, ცრემლებით აევ-
სო თვალები და წუხილი გამოთქვა, რომ
ამ ბედნიერ წუთებს გრიშა (მამაჩემი) ვერ
მოესწრო. ჩემი მეუღლე, ლამარა, მიუხედა-
ვად მისთვის დამახასიათებელი თავშეეკე-
ბულობისა, თავის უდიდეს სიხარულს არ
მალავდა. მე თვითონ კი უცნაურ გაურკვე-
ველ სიტუაციაში ვიყავი – თან ჩვენებთან
ერთად მიხაროდა მატერიალური და სა-
ზოგადოებრივი მდგომარეობის მომავალი
გაუმჯობესება, მაგრამ თან გარკვეულწი-

ლად მაშინებდა შეჩვეული მდგომარეობის
შეცვლის პერსპექტივა.

მალევე კიდევ ერთი ტელეფონის ზარი
გაისმა – ამჟამად უკვე უჩა რეკავდა. მას
აინტერესებდა უკვე მელაპარაკა აპოლო-
ნი თუ არა. როდესაც გაიგო, რომ საუბარი
ცოტა ხნის წინ შედგა, დაინტერესდა ჩემი
რეაქციით. მე გულახდილად ვუპასუხე, რომ
მოულოდნელი წინადადებით ძალიან აღელ-
ვებული და დაბნეული ვიყავი. თან ვკითხე,
როგორი იყო მისი დამოკიდებულება ყოვე-
ლივე მომხდართან. ცხადია, იმ დროს ჩემ-
თვის მნიშვნელოვანი იყო ახლობელი ადა-
მიანის აზრი, მით უფრო, რომ მას ამ მხრივ
გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება
ჰქონდა – ჩემზე უფრო ახალგაზრდა ასაკში
აკადემიას ხელმძღვანელობდა. უჩას პასუხი
ჩემთვის ერთგვარად მოულოდნელი იყო და
კიდევ უფრო გაამძაფრა ჩემი დაბნეულობა.

მითხრა, რომ ის არ მირჩევდა შემოთავაზე-ბაზე დათანხმებას, რადგან ამას შეიძლება ბევრი უსიამოვნება შეეხვედრებინა და ჩემი მაშინდელი მშვიდი და სტაბილური მდგო-მარეობა მთლიანად აერია. როდესაც ახლა ვაანალიზებ უჩას რჩევას, ვხვდები, რომ მას არ უნდოდა მანამდე მშვიდ ცხოვრებას შეჩ-ვეული, სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში აღმოვჩენილიყავი, სადაც მისი აზრით წარმატების დიდი შანსი არ მქონდა. დარწმუნებული ვარ უჩას პასუხი მის მეუღლესთან, მარ-გარიტასთან, თათბირის შედეგიც იყო. ყოვე-ლივე ამის შემდეგ, ისედაც დაბნეული, კიდევ უფრო მეტ წინააღმდეგობრივ სიტუაციაში აღმოვჩნდი. სულ რაღაც ნახევარ საათში თავს რთულად გადასაწყვეტი პრობლემები დამატყდა, მაგრამ ამით ის საღამო არ დას-რულებულა. ცოტა ხანში საშინელ დაბნეუ-ლობაში მყოფს ლადომ დამირეკა⁴. ყურმილის აღებისთანავე გავიგონე მისი დაუფარავად აღფრთოვანებული ხმა, რომელიც გულითა-დად მილოცავდა უდიდეს წარმატებას. ის განუზომლად ბედნიერი იყო მომხდარით და უჩასგან განსხვავებით, დარწმუნებული იყო ჩემ მომავალ წარმატებაში. ლადომ მითხრა, რომ უჩას ისიც ელაპარაკა, მაგრამ ვერაფ-რით ვერ იზიარებდა მის ზედმეტ სიფრთხი-ლეს და ჩემი შესაძლებლობებისადმი უნ-დობლობას. რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, ლადომ მოიგონა 30 წლის წინანდელი ამბავი, როდესაც მან და მამამ ჩემი პირველი ნახატი ნატურიდან – კაცის შიშველი ტორ-სი – წაიღეს დავით კაკაბაძესთან საკონსულ-ტაციოდ, აინტერესებდათ მისი აზრი, ლირდა თუ არა ჩემთვის აკადემიაში სასწავლებლად წასვლა. მაშინ დავითმა ჩემი პირველი ნახატი დადებითად შეაფასა და ამით გზა დამილოცა შემდგომ მოღვაწეობაში. ლადომ ამ ეპიზო-დის მოგონების შემდეგ მითხრა – „რას წარ-მოვიდგენდით მაშინ დავითი, ან მე და გრიშა,

რომ შენ მომავალში გექნებოდა ბედნიერება, აკადემიაში ის თანამდებობა დაგეკავებინა, რომელსაც წლების განმავლობაში ლირსეუ-ლად უძლვებოდა დავით კაკაბაძეო“. შემდეგ ლადომ გამიზიარა ის არგუმენტები, რომ-ლის გამოც არავითარი მორალური უფლება არ მქონდა უარი მეთქვა აპოლონის შემო-თავაზებაზე. მისი თქმით უამრავ ლირსეულ ადამიანს შორის აპოლონმა თავისი არჩევანი ჩემზე შეაჩერა, რაც თავისთავად უკვე ჩემ-თვის დიდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს და რომ ეხლა მისი მოლოდინის გაწბილება ჩემი მხრივ უმადურობა და უზრდელობაც კი იქ-ნებოდა. თუ ღმერთი გაწყრა და გარკვეული დროის შემდეგ აღმოჩნდება, რომ პრორექ-ტორის თანამდებობა ჩემთვის მიუღებელია, უარი მაშინ უფრო გამართლებული იქნება, ვიდრე ეხლაო. ლადო ოპტიმისტურად იყო განწყობილი და მეც მარწმუნებდა, რომ ყვე-ლაფერი კარგად იქნებოდა. ისიც მხოლოდ იმაზე სწუხდა, რომ ამ ბედნიერ დღეს მამა-ჩემი ვერ მოესწრო.

ალბათ ადვილი მისახვედრია, ლამეს რო-გორ გავატარებდი. დილით წავედი აკადემია-ში და აპოლონს მივასწარი მისვლა. როდე-საც ცოტა ხანში ისიც მოვიდა, მითხრა, რომ ჩემთან ლაპარაკის შემდეგ იგი ტელეფონით დაუკავშირდა პარტიის კალინინის რაიონუ-ლი კომიტეტის მდივანს და მოახსენა, რომ როგორც იქნა გადაწყვიტა პრორექტორის თანამდებობაზე კანდიდატის ვინაობა. რო-დესაც სერგო რიგვავამ (მაშინდელი რაიკო-მის მდივანი) გაიგო, თუ ვის გულისხმობდა აპოლონი, უთქვამს, რომ კარგად მიცნობდა ორჯონიერის რაიონული კომიტეტში მუ-შაობის დროიდან, როდესაც მე სამხატვრო სასწავლებელში ვმუშაობდი და რაღაც პე-რიოდში პარტორგანიზაციის მდივანიც კი ვიყავი. როგორც აპოლონმა მითხრა, სერგო რიგვავამ კმაყოფილება გამოთქვა ჩემ კან-

4 ლადო ჯაფარიძე, უჩა ჯაფარიძის უფროსი ძმა, მხატვრის მამის - გრიშას ტყუპისცალი.

დიდატურასთან დაკავშირებით და დაპირდამას, რომ რაიკომის ბიუროზე გატანის გარეშე, მეორე დღესვე, დადებით მსვლელობას მისცემდა საკითხს. რაიკომში სერგო რიგვავასთან, მეორე მდივანთან და აგიტაციაპროპაგანდის განყოფილების გამგესთან, დაახლოვებით ნახევარსაათიანი გასაუბრების შემდეგ გადაწყდა, რომ პარტიის რაიონული კომიტეტი რეკომენდაციას მიწევდა პრორექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად. აკადემიაში დაპრუნებულმა შევიტყვე, რომ იქ უკვე გავრცელებული იყო ჩემი დანიშვნის ამბავი. დაიწყო გაუთავებელი მოლოცვები – ზოგი გულწრფელი, ზოგიც კი ცხადია „ზრდილობის გულობიზა“. იმავე დღეს აპოლონი შეუთანხმდა კულტურის მინისტრს, ოთარ თაქთაქიშვილს, ჩვენი შეხვედრის შესახებ, რომელიც შედგა კიდეც და მეორე დღეს უკვე დაიწერა ბრძანება ჩემი პრორექტორად დანიშვნის შესახებ. ასე დაიწყო ჩემ არც თუ ხანმოკლე ცხოვრებაში 15 წლიანი ყველაზე დაძაბული და შრომატევადი პერიოდი.

როგორც ჩემი დანიშვნიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ გავიგე, კანდიდატურის მოძიებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია ჰქონდა. მას შემდეგ რაც აპოლონმა დაპირება მიიღო პრორექტორის საშტატო ერთეულის დამატების შესახებ, მან დაიწყო ფიქრი, თუ ვინ შეძლებდა მისი ჩანაფიქრის რეალიზებაში ქმედითი დახმარების გაწევას. ძიების პროცესი რთული გამოდგა, ნათქვამია „მჯობნის მჯობნი არ დაილევაო“ და შესაძლო კანდიდატის შერჩევა საკმაოდ გაიწელა დროში. აპოლონს უკვე აჩქარებდნენ პრორექტორის შტატის დასამტკიცებლად წარდგენას. თითქოს შეირჩა კიდევაც ერთი ახალგაზრდა კაცი, მაგრამ მან სამწუხაროდ (ან იქნებ საბედნიეროდაც) სულსწრაფობა

გამოიჩინა და ჯერ კიდევ ოფიციალურად დანიშვნამდე გამოავლინა, როგორც ჩანს, მის ბუნებაში არსებული ქედმაღლობა, რაც თვით აპოლონსაც და მის უახლოეს გარემოცვასაც არ მოეწონა და გადაწყდა ძიების ისევ გაგრძელება.

ერთ საღამოს⁵, როდესაც აპოლონის უახლოესი პირები იყვნენ შეკრებილნი, რომელთა აზრსაც ის დიდ ანგარიშს უწევდა, ისევ დაუწყიათ შესაძლო კანდიდატების ძიება. სწორედ ამ საღამოს ერთ-ერთ დამსწრეს მე დავუსახელებივარ. ჩემი სახელის გაგონებაზე აპოლონს მისთვის ჩვეული მყისიერი რეაგირებით გამოუცხადებია, რომ მისთვის უკვე ნათელი იყო, ვინ გამოადგებოდა თანამდგომად, ჩანაფიქრის რეალიზაციის საქმეში. მას მხოლოდ სინანული გამოუთქვამს, რომ მანამდე არ მოვგონებივარ, მაგრამ აქვე აღუნიშნავს, რომ ზოგიერთი ადრე დასახელებულისაგან განსხვავებით, ესეც ჩემს თავმდაბლობაზე მეტყველებდა. რაც შეეხება იმას, თუ ვინ დაასახელა ჩემი კანდიდატურა, მე არც მაშინ და არც შემდეგ არ მომსვლია აზრად ამისა გარკვევა. მიუხედავად ამისა, ჩემამდე მაინც მოაღწია ამბავმა, რომ ეს უორა ჯაშმა გააკეთა.⁶

უორა ჯაშთან მე ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან მქონდა კარგი ურთიერთობა. როდესაც მე მესამე კურსზე უჩას სახელოსნოში ჩავირიცხე, იგი იქ ასისტენტად მუშაობდა. იყო ბევრი ფაქტორი, რომლის გამოც უორა ჩემდამი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა. მთავარი, ცხადია, ის იყო, რომ იგი უჩას ასისტენტი იყო, მე კი უჩას ძმისშვილი. თან ის ჩემ ბიძაშვილთან, გივისთანაც, მეგობრობდა. გარდა ამისა, იმ დროს მას ცოლად ჰყავდა ნინა ფოფხაძე და უორა მასთან ცხოვრობდა სახლში. ნინას მამა ნიკოლოზ (კოლია) ფოფხაძე, ცნობილი

5 როგორც ჩანს ეს სწორედ ის საღამო იყო, რომლის დასრულების შემდეგაც აპოლონ ქუთათელაძისა და ოთარ ჯაფარიძის სატელეფონო საუბარი შედგა. მ.გ.

6 გიორგი (უორა) ჯაში (1914-1990), საქართველოს დამსახურებული მხატვარი; ფერმწერი.



ნოდარ ჯანბერიძე, შოთა კუპრაშვილი, გიორგი (ჟორა) ჯაში, უჩა ჯაფარიძე. სამხატვრო აკადე-
მია, შოთა კუპრაშვილის საიუბილეო საღამო. 1979
თამარ კუპრაშვილის ფოტო-არქივიდან

Nodar Janberidze, Shota Kuprashvili, Giorgi (Zhora Jashi), Ucha Japaridze. Tbilisi State Academy of Fine Arts, Shota Kuprashvili Anniversary evening. 1979

Photo archive of Tamar Kuprashvili

ექიმი – ნევროპათოლოგი, რაჭველი იყო და
ახალგაზრდობაში ონში ჩვენებთან ერთად,
ერთ საზოგადოებაში ტრიალებდა.

მოხდა ისე, რომ 1967 წელს მე და უო-
რა აგვირჩიეს სამხატვრო ფონდის საბჭოს
შემადგენლობაში, რომლის თავმჯდომარეც
იმ დროს გულდა კალაძე⁷ იყო. სამხატვრო
საბჭოს ამოცანას წარმოადგენდა ყველა
იმ ნამუშევრის მხატვრული დონის დადგე-
ნა, რომლებიც სამხატვრო ფონდის დაკვე-

თით ან მისი კომბინატის მიერ სრულდებო-
და. საბჭოს ფუნქციას აგრეთვე შეადგენდა
მხატვრების მიერ სხვადასხვა ორგანიზა-
ციებისაგან დაკვეთილი ნაწარმის ხარის-
ხის და ღირებულების დადგენა. ასევე სამ-
ხატვრო სალონში, რომელიც რუსთაველის
გამზირზე მდებარეობდა, კულტურის სა-
მინისტროს შენობის პირველ სართულზე,
მხატვრების ან ხალხური შემოქმედების ოს-
ტატების მიერ სარეალიზაციოდ განკუთვნი-

7 გულდა კალაძე (1932-1974), საქართველოს დამსახურებული მხატვარი; მოქანდაკე.

ლი ნაწარმის შეფასება. სამხატვრო საპჭო ყოველ კვირაში ერთ დღეს იკრიბებოდა და როგორც წესი, მთელი დღის განმავლობაში უხდებოდა მუშაობა. ვფიქრობ საპჭოში ჩემმა წარმატებულმა მოღვაწეობამ უორას კიდევ ერთი არგუმენტი მისცა იმისა, რომ მის მიერ წარდგენილი კანდიდატი ღირსეულად შეძლებდა პრორექტორის მოვალეობის შესრულებას. უნდა აღვნიშნო მისი შინაგანი ტაქტი და კეთილშობილება – მიუხედავად ჩვენი შემდგომი ხშირი ახლო ურთიერთობისა, თუნდაც გარიყულას ბაზაზე ერთად გატარებული ზაფხულის ორთვიანი პრაქტიკისა, უორას არასდროს უხსესებია, გაკვრითაც კი, რომ სწორედ მან შესთავაზა აპოლონს ჩემი კანდიდატურა.

მე წარსულშიც ხშირად დავფიქრებულვარ იმის შესახებ, თუ რა ფაქტორმა გადაწყვეტინა აპოლონს მყისიერად შეეწყვიტა კანდიდატურების ხანგრძლივი ძებნა, მათი ანონ-დანონა, ზოგჯერ უკვე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლაც კი. ეს კითხვა ეხლაც ამოუხსნელ ამოცანად რჩება ჩემთვის. რატომ გადაწყვიტა აპოლონმა რამდენიმე წუთში ჩემ კანდიდატურაზე შეჩერება? ვფიქრობ, ინტუიციას მიენდო და ამიტომ დიდხანს აღარ უფიქრია, დაუყოვნებლივ დამირეკა და პრორექტორის თანამდებობა შემომთავაზა. აპოლონის ამ სწრაფი გადაწყვეტილების შესახებ ჩემთვის არაერთხელ უთქვამთ იქ დამსწრე პირებს. ასე იყო თუ ისე, აპოლონმა ჩემი პრორექტორად დანიშვნა ძალიან სწრაფად, ორ დღეში გააფორმა ოფიციალურად.

პრორექტორობის შემოთავაზებისას, მოვლენები ისეთი კალეიდოსკოპური სისწრაფით ვითარდებოდა, რომ მე მოულოდნელობისაგან ისედაც დაბნეულს, მიჭირდა რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება. ყველაზე უფრო დამაჯერებლად ლადოს არგუმენტი მეჩვენებოდა, რომ ჩემი მხრივ უარის თქმა, აპოლონისადმი უმაღურობა და უპატივისმცემლობა იქნებოდა. ყველაფერი ეს ძალიან სწრაფად მოხდა და მეც დიდი


ფიქრის გარეშე გადავეშვი უცნობ მორევში, რომელშიც საბედნიეროდ მთელი თხუთმეტი წელიწადი წარმატებულად ვიცურე. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ფაქტი, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მე არ მქონია არავითარი შენიშვნა არც ზემდგომი შემმოწმებელი ორგანიზაციების და არც აკადემიის ხელმძღვანელობის ან კოლექტივის რომელიმე წევრის მხრიდან.

ცხადია, ამ დროს აკადემიაში ბევრი ნაცნობი მყავდა, მაგრამ უმეტესობა, მით უფრო სტუდენტები, პირადად არ მიცნობდნენ, ამიტომ გავრცელდა ხმა, რომ პრორექტორად უჩა ჯაფარიძის ძმისშვილი დაინიშნა. თუ გავითვალისწინებთ, რომ უჩას იმ პერიოდში ქართული მხატვრობის საქმეებში ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკავა და ზოგიერთი მას ყოვლისშემძლებაც კი მიიჩნევდა, ცხადი იქნება, რომ დაინტერესებული საზოგადოების გადამწყვეტი უმრავლესობისათვის (მხოლოდ რამდენიმე ადამიანის გამოკლებით) ჩემი დანიშვნა მთლიანად უჩას გავლენას და მის მცდელობას მიეწერებოდა. ასევე ფიქრობდა ალბათ ჩემი ნათესავების და ახლობლების დიდი უმეტესობა. მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა, რომელთაგანაც დღეს აღარავინ არის ცოცხალი, იცოდა, რომ უჩას არა თუ არავითარი მონაწილეობა არ მიუღია, არამედ როგორც უკვე ვთქვი, მირჩია უარი მეთქვა აპოლონის მიერ შემოთავაზებულ თანამდებობაზე.

როდესაც ახლა ვფიქრობ (რისი საშუალებაც ჩემ მდგომარეობაში უამრავი მაქვს) და ვცდილობ გავაანალიზო უჩას რჩევის მოტივები, პირველ რიგში გამოვდივარ იქიდან, რომ მას ცხადია მხოლოდ კარგი უნდოდა ჩემთვის. როგორც უჩამ თვითონ მითხრა, ის თვლიდა, რომ მე სრულიად გამოუცდელი ვიყავი ადმინისტრაციულ საქმიანობაში და ამდენად გამიჭირდებოდა გარკვევა იმ ფარულ თუ გამჟღავნებულ დაპირისპირებებში, რომელიც ცალკეულ დაჯგუფებებს შორის არსებობდა აკადემიაში, ისევე როგორც ალბათ ყველა დაწესებულებაში. უჩა

თვლიდა, რომ მე მქონდა ჩემთვის ნაცნობი და წყნარი სამუშაო და ამდენად აზრი არ ჰქონდა შეჩვეული საქმიანობის მიტოვებას და სრულიად უცნობ ახალ გარემოში გადასვლას, სადაც ჩემი წარმატების იმედი, როგორც ჩანს, მას ნაკლებად ჰქონდა. ის ალბათ ფიქრობდა, რომ შესაძლებელი წარუმატებლობა ახალ ამპლუაში მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი შედეგის მომტანი აღმოჩნდებოდა ჩემი მომავლისათვის. ერთი სიტყვით, უჩას რატომლაც დიდი იმედი არ ჰქონდა ჩემი შესაძლებლობების და არ უნდოდა ფიასკო განმეცადა ახალ საქმიანობაში. ამიტომ მირჩია აპოლონის შემოთავაზებაზე უარი მეთქვა, რის მოტივადაც ჩემი იმუამინდებლი წყნარი, გარანტირებული პედაგოგიური საქმიანობა სახელდებოდა, რაც მისი აზრით უფრო შეეფერებოდა ჩემს ბუნებას, ვიდრე უცნობი და მართლაც რთული ადმინისტრაციული სამუშაო. თუმცა პრორექტორად მუშაობის გარკვეული დროის შემდეგ, როგორც პირადად ჩემთან, ისე მთელი ფერწერის კათედრის თანდასწრებითაც, მან აღიარა, რომ „აპოლონის არჩევანმა გაამართლა.“ ეს აღიარება ჯერ კიდევ აპოლონის სიცოცხლეშივე გააკეთა და შემდგომშიც არაერთხელ გაიმეორა. მას-სოვს უჩა განსაკუთრებით კმაყოფილი იყო კორნელი სანაძის მიერ ნათქვამი სიტყვებით – „სამხატვრო აკადემიას დავით კაკაბაძის შემდეგ ოთარისნაირი სასწავლო დარგის ხელმძღვანელი არ ჰყოლიაო“. ეს სიტყვები მან უჩას უთხრა ერთ-ერთი ჩემი საანგარიშო მოხსენების შემდეგ პარტორგანიზაციის ღია კრებაზე. კორნელი სანაძისაგან ასეთი აღიარება მით უფრო დასაფასებელი იყო, რომ იგი ამ დროს ჩემზე პირადად იყო ნაწყენი, რასაც ხმამაღლა ამბობდა კიდეც.

აპოლონის არჩევანმა რომ გაამართლა, ამას თუნდაც ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ჩემი მოღვაწეობა პრორექტორის თანამდებობაზე გაგრძელდა ზუსტად თხუთმეტი წელი და ამ ხნის განმავლობაში არ მქონია არავითარი გართულება არც აკადემიის



ოთარ ჯაფარიძის გამოსვლა შოთა კუპრაშვილის საიუბილეო საღამოზე, სამხატვრო აკადემიაში. 1979 თამარ კუპრაშვილის ფოტო-არქივიდან

Otar Japaridze's speech on Shota Kuprashvili Anniversary evening at Tbilisi State Academy of Fine Arts. 1979
Photo archive of Tamar Kuprashvili

შიგნით და არც ზემდგომ დაწესებულებებში. 1939 წლის შემდეგ, როდესაც მე აკადემიაში მივედი, დირექტორის თანამდებობა სილოვან კაკაბაძეს ეკავა, მისი მოადგილე კი დავით კაკაბაძე იყო. მოადგილის თანამდებობა ცალკე სასწავლო დარგში არ არსებობდა. მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როდესაც მე დავინიშნე სასწავლო დარგის პრორექტორად. აკადემიაში ჩემი ყოფნის მანძილზე (1939 – 2006 წწ.) ასეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში არც ერთი მოადგილე ან პრორექტორი არ ყოფილა. პრორექტორად დანიშვნის შემდეგ საკმაოდ სწრაფად დავანახე ყველას, რომ შემწევდა უნარი კრიტიკულ სიტუაციაში მიმეღო სწორი, ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილება. როდესაც ახალ თანამდებობაზე „აკლიმატიზაციის“ შემდეგ რამდენიმე კრიტიკულ ეპი-

ზოდში შევძელი სათანადო სწორი გადაწყვეტილების მიღება და განხორციელება, ვფიქრობ აპოლონიც დარწმუნდა თავისი არჩევანის სისწორეში. მან პირადად ჩემთანაც და აკადემიის საბჭოს სხდომაზეც განაცხადა, რომ სასწავლო პროცესის წარმართვაში არ აპირებდა ჩარევას და როგორც მას უყვარდა თქმა, ამ საკითხში სრულ „კარტ ბლანშ“ მაძლევდა. ოთხი წლის განმავლობაში, რაც აპოლონის გარდაცვალებამდე მომიხდა მის გვერდით მუშაობა, ვერ ვიგონებ ვერც ერთ შემთხვევას, როდესაც მას ჩემი დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიმართ რაიმე, თუნდაც მცირედი უკმაყოფილება გამოეხატოს. ეს წლები იყო ჩემთვის უდიდესი სკოლა და გამოცდილების მიღების შესანიშნავი საშუალება.

რაც შეეხება ჩემზე დაკისრებულ მოვალეობებს, მე, შეიძლება ითქვას არაპროპორციულად ძლიერ ვიყავი დატვირთული. ჩემი მუშაობის დაწყებისთანავე რექტორატის პირველივე სხდომაზე მოხდა ფუნქციების განაწილება ჩემსა და ანატოლი მკურნალს შორის. რამდენადაც სასწავლო პროცესის გარდა ფაქტობრივად თითქმის აღარაფერი საქმე აღარ რჩებოდა, აპოლონმა გადაწყვიტა ანატოლისათვის ზოგად ადმინისტრაციულ მოვალეობებთან ერთად სადიპლომო ნამუშევრების დაცვის ორგანიზებაც დაევალებინა. ეს ნაწილობრივ მაინც შემიმსუბუქებდა ზაფხულის დასაწყისში ჩემ თავზე ერთდროულად „დაყრილი“ საქმეების გაძლილას. მაისიდან იწყებოდა ჩემი განამარია: მეორე სემესტრის და საერთოდ სასწავლო წლის დამთავრება, ზაფხულის პრაქტიკების დაგეგმვა და ჩატარების ორგანიზება, მომავალი სასწავლო წლისათვის კათედრების დატვირთვის დაგეგმვა და რაც მთავარი თავსატეხი იყო ყოველმხრივ, ივლისის თვეში მისაღები გამოცდების ორგანიზება და ჩატარება. რამდენადაც სადიპლომო ნამუშევრების დაცვა მთელი სასწავლო პროცესის დაგვირგვინებას წარმოადგენდა, ვერც დაპლომების დაცვის პროცესიდან მთლია-

ნი განთავისუფლება ხერხდებოდა. ყოველივე ზემოთთქმულის გამო თხუთმეტი წლის განმავლობაში, პერიოდი მაისიდან ივლისის ჩათვით, ჩემთვის წლის განმავლობაში ყველაზე კოშმარული იყო. მიუხედავად ამისა, როგორც ეხლა ვიგონებ, არასოდეს არ მომსვლია თავში უარი მეთქვა ამ უმძიმეს სამუშაოზე. როგორც ჩანს იმის შეგრძნება, რომ რაღაც სასარგებლო საქმეს ვაკეთებდი, მაიძულებდა მაქსიმალურად გამომეყენებინა ჩემი რესურსები აკადემიის შემდგომი განვითარებისა და აღმასვლისათვის.

პრორექტორის თანამდებობაზე დანიშვნისთანავე მტკიცედ გადავწყვიტე ჩემ შემდგომ მუშაობაში უარი მეთქვა ყოველგარ ბიუროკრატიულ ბარიერებზე და კოლექტივისგან რაიმე დისტანცირების დადგენაზე. უარი ვთქვი მიღების საათების დაწესებაზე. ჩემი სამუშაო ოთახის კარი ყოველთვის ღია იყო შემოსვლის ყველა მსურველისათვის. მე არც იმას ვთაკილობდი, რომ თვითონ მივსულიყავი რომელიმე კათედრაზე ან დეკანატში, თუ ეს საქმისათვის იყო საჭირო.

ჩემი მუშაობის ასეთმა სტილმა საბენიეროდ აკადემიაში გაგება და უმეტეს შემთხვევაში მოწონებაც დაიმსახურა. როგორც ძველი მეგობრები, ისე ახლად გაცნობილები, ჩემთან საუბარის დროს კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ მე ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ არ შევიცვალე და ძველებურად კეთილგანწყობილი დავრჩი მათდამი. მაშინ ჩემთვის ცოტა არ იყოს გაუგებარი იყო ჩემი მუშაობის ასეთი შეფასება, თუმცა მრავალი წლის გავლის შემდეგ ეს ყველაფერი უფრო გასაგები გახდა. შემდგომი ჩემი ხანგრძლივი ცხოვრების განმავლობაში ისეთი ადამიანებიც შემხვედრია, რომლებიც თავისი არც თუ დიდად მნიშვნელოვანი თანამდებობის გამო ლამის „გასკდომამდე“ იბერებოდნენ.

ახლა, როდესაც ბევრი დრო მაქვს გავაანალიზო წარსული, ბევრ მიზეზს ვიგონებ, რატომ შევრჩი პრორექტორის თანამდებობაზე ასე ხანგრძლივად. უნდა აღვნიშნო,



გოგი თოთიბაძე და ოთარ ჯაფარიძე. ბაკურიანი, 1950. ფოტო გურამ დონდუასი

Gogi Totibadze and Otar Japaridze. Bakuriani, 1950. Photo by Guram Dondua

რომ თხუთმეტი წლის განმავლობაში არას-დროს დამბადებია სურვილი დამენებებინა თავი პრორექტორობისათვის, მიუხედავად იმისა რომ ძალიან ხშირად გაუსაძლისად მძიმე მდგომარეობაში ვიყავი ხოლმე, განსაკუთრებით მისაღები გამოცდების პერიოდში. ისევ პედაგოგიურ მოღვაწეობაზე გადასვლა ხომ ფაქტობრივად არავითარ მატერიალურ ცვლილებას არ გამოიწვევდა და სამაგიეროდ მომცემდა საშუალებას ბევრად უფრო თავისუფლად მეცხოვრა და მეტი მემუშავა ფერწერაში. როგორც ჩანს აქ მიზე-ზების მთელი კომპლექსი იყო. ერთ-ერთი ალბათ ჩემი სურვილი იყო დამემტკიცებინა როგორც ჩემი თვისათვის, ასევე სკეპტი-

კოსებისათვის, რომ აპოლონი არ შემცდა-რა თავის არჩევანში და მე შემწევდა უნარი ლირსეულად გამეგრძელებინა ჩემი მოღვა-ნეობა. მაშინ მე წასვლას დამარცხებად ალ-ვიქამდი, რაც ცხადია, არასდროს და არავისთვის არ არის სასურველი. ეს გრძნობა, როგორც ჩანს, მხოლოდ ქვეცნობიერად არ-სებობდა. ყოველ შემთხვევაში ვერ ვიგონებ ვერც ერთ მომენტს, რომ მე ამის შესახებ მეფიქრა.

მინდა გავიხსენო იმ წლების აკადემიაში არსებული ერთი ტრადიცია. ყოველი სას-წავლო სემესტრის დამთავრების შემდეგ ღია პარტიულ კრებაზე გამოვდიოდი საანგარი-შო მოხსენებით. ამის ინიციატივა იმდროინ-

დელი პარტიული კომიტეტის მდივანს, უორა ცეცხლაძეს, ეკუთვნოდა. 20-25 გვერდიან წერილობით მოხსენებაში განიხილებოდა დასრულებული სასწავლო სემესტრის განმავლობაში მომხდარი მოვლენები და არსებული პრობლემები. მოხსენებაში იხილებოდა სასწავლო პროცესში წარმოქმნილი ყველა დადებითი თუ უარყოფითი მოვლენა, მათი მიზეზები და უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრის შესაძლო გზები. კრებებმა პოპულარობა მოიპოვა და მალე ხალხმრავალი გახდა. აკადემიის ყველა თანამშრომელს თუ სტუდენტს საშუალება ჰქონდა არა მხოლოდ მიეღო მისთვის საინტერესო ინფორმაცია, არამედ დაესვა შეკითხვა და მიეღო ამომწურავი პასუხი. ამ მოხსენებებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება სამომავლოდაც, რადგან მომავალი დაინტერესებული მკვლევარებისათვის შეიცავს დაწვრილებით ანგარიშებს და დეტალურ ცნობებს 1969 – 1983 წლების განმავლობაში აკადემიის სასწავლო პროცესში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

აპოლონის გარდაცვალების შემდეგ გოგი თოთიბაძესთან პირველივე საქმიანი შეხვედრის დროს მან თავისი კმაყოფილება გამოთქვა ჩემი წარსული მუშაობით და აღმითქვა, რომ ისიც აპოლონის მსგავსად არ აპირებდა სასწავლო პროცესის მიმდინარეობაში აქტიურ ჩარევას და ამ მხრივ სრულ დამოუკიდებლობას მპირდებოდა.

ჩემი საქმიანობა შეიძლებოდა კიდევ უფრო ხანგრძლივი ყოფილიყოს, რომ არა ორი გურულის (ვგულისხმობ ნოდარ ჯანბერიძეს და გოგი თოთიბაძეს) ურთიერთ კინკლობა, რომელშიც, მიუხედავად ნოდარ ჯანბერიძის მცდელობისა, მე მონაწილეობაზე უარი ვთქვი და ვარჩიე ისევ პედაგოგიურ მოღვაწეობას დავბრუნებოდი. პრორექტორად დანიშვნის დროს ერთადერთი ჩემი თხოვნა იყო, უფლება მოეცათ კანონით ნებადართული მცირე ოდენობის საათები მქონოდა საათობრივი ანაზღაურებით. პრორექტორის თანამდებობაზე უარის თქმის სანაცვლოდ კულტურის მინისტრის მოადგილეს –

გოგი უორულიანს, რომელიც იმ დროს ოთარ თაქთაქიშვილს ცვლიდა, ვთხოვე აკადემიისათვის დამატებით გამოეყოთ პროფესორის ერთი საშტატო ერთეული, რაც რა თქმა უნდა დაუყოვნებლივ იქნა დაკმაყოფილებული. ყოველგვარ თანამდებობაზე უარის თქმის მიზეზი ისიც იყო, რომ მე სრულიად ვიზიარებდი გოგი თოთიბაძის პოზიციას აკადემიის შემდგომი მუშაობის პრინციპების შესახებ. ეს პრინციპები გულისხმობდა წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციული სასწავლო პროცესის შემდგომ განვითარებას, რასაც თავისითავად ხელი უნდა შეეწყო აკადემიის სტუდენტების პროფესიული დაოსტატებისათვის. ზოგიერთი „ახლებურად მოაზროვნე“ პიროვნებები, რომლებსაც ნოდარ ჯანბერიძეც უჭერდა მხარს, თვლიდნენ რომ აკადემიაში აუცილებელი იყო რადიკალური ცვლილებების გატარება მისი გათანამედროვეობისათვის. როდესაც ახლა ვაანალიზებ მოვლენების იმდროინდელ განვითარებას, ვთვლი, რომ ჩემი გადადგომა დროული იყო, რადგან დაღმასვლის პროცესი აკადემიაში უკვე დაწყებული იყო და ჩემი თანამდებობაზე დარჩენა ფაქტობრივად ვეღარაფერს შეცვლიდა. ეს დაღმასვლა უკვე ინერციით გაგრძელდა, როგორც ზურაბ ნიუარაძის რექტორობის პერიოდში, ასევე თენიოზ ფერაძის დროსაც. მართალია სოს ქოიავა რექტორად არჩევის შემდეგ შეეცადა რღვევის პროცესების შეჩერებას, მაგრამ მთლიანად ქვეყანაში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ ამის გაკეთება უკვე შეუძლებელი იყო.

ეგრეთნოდებულმა რეფორმამ განათლების სისტემაში, საბოლოოდ გაანადგურა და დაასამარა მრავალი წლის განმავლობაში წვალებით და დიდი შრომის ფასად მიღწეული წარმატებები. სამწუხაროდ გია ბუღაძეს არ ეყო არც გამბედაობა და არც ვაჟვაცობა, წინააღმდეგობა გაეწია განათლების სამინისტროს მიერ აკადემიისათვის თავსმოხვეული უაზრო ცვლილებებისათვის, ისე როგორც ეს კონსერვატორიის რექტორმა მოახერხა.

შედეგად, „კორუფციასთან ბრძოლის“ საბაბით, ერთი ხელის მოსმით ერთბაშად განადგურდა წლების განმავლობაში დიდი ძალისხმევის შედეგად ჩამოყალიბებული მისაღები გამოცდების დონე სპეციალურ საგნებში, რაც თავისთავად განაპირობებდა იმ მაღალი მოთხოვნების დონეს, რაც აუცილებელია უმაღლესი სამხატვრო სასწავლებლისათვის. მიიღეს სრულიად აბსურდული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც აბიტურიენტები მისაღებ საკონკურსო გამოცდებზე მხოლოდ ერთ მოცემულობას აპარებენ, რომელიც საერთოა ყველა სპეციალობისათვის, მაგალითად სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე ფანქრით შესრულებულ ელემენტარულ ნატურმორტს. ადრე სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე 6 და გამოყენებითი ხელოვნების სპეციალობებზე 5 მოცემულობა ცალ-ცალკე ფასდებოდა და ჩასარიცხავ შეფასებათა საერთო ჯამში გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ამგვარად, სპეციალური საგნების შეფასების წვლილი ბევრად დიდი იყო, ვიდრე ზოგადსაგანმანათლებლო საგნებისა. გარდა ამისა, მოცემულობის სირთულე იძლეოდა საშუალებას დადგენილიყო აბიტურიენტის მზადყოფნა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლად. რეფორმის შედეგად კი ეს ყველაფერი რადიკალურად შეიცვალა, რადგან სპეციალობის მხოლოდ ერთი შეფასებადა დარჩა. საგამოცდო კომისიები აღმოჩნდნენ დილემის წინაშე, ფანქრით შესრულებული ერთი ნატურმორტის მიხედვით მიეღოთ გადაწყვეტილება ამა თუ იმ აბიტურიენტის აკადემიის მოთხოვნებისადმი შესაფერისობის შესახებ. ამგვარად, შეიქმნა აბსურდული სიტუაცია, როდესაც ფერწერის პირველ კურსზე ჩარიცხულთა შორის იყო რამდენიმე სტუდენტი, რომელთაც არამცთუ ზეთის საღებავებით, არამედ აკვარელითაც კი არ ჰქონდათ გაკეთებული არაფერი. როდესაც საგამოცდო ნახატები ვნახე, გაოგნებული დავრჩი იმით, რომ ამდენ ნახატში სულ რამდენიმე იყო, რომელიც გამოირჩეოდა საერ-

თო მასიდან. დანარჩენი უმეტესი ნაწილი ერთი კაცის მიერ დახატულს გავდა და დარწმუნებული ვარ თვით ავტორებსაც კი გაუჭირდებოდათ საკუთარი ნამუშევრის ამოცნობა. ცხადი იყო, რომ არსებობდა მონოპოლისტი რეპეტიტორი, რომელიც არც თუ მცირე გასამრჯელოს ფასად აბიტურიენტების უმრავლესობას მთელი წლის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, „გეშავდა“ ნახატის ზედაპირულ, ეფექტურ შესრულებაში. ესეც ყბადალებული „კორუფციასთან ბრძოლა“ და აბიტურიენტის მიერ ბუნებრივი მონაცემების გამომჟღავნების საშუალება.

მისაღები გამოცდების ამგვარმა სრულიად ახლებურად ჩატარებამ მთლიანად დაანგრია აკადემიის ანყობილი სისტემა, რაც გულისხმობდა უმაღლესი სასწავლებლის მოთხოვნებისადმი მისაღები კონტინგენტის მომზადების შესაბამისობას. „რეფორმამდე“ კი, სამხატვრო განათლების დაწყებითი და საშუალო რგოლების მწყობრი სისტემა (სამხატვრო სკოლები რეგიონებში, სამხატვრო სასწავლებლები, აკადემიასთან არსებული მოსამზადებელი კურსები) საშუალებას იძლეოდა, რომ სამხატვრო აკადემიაში მისაღები გამოცდების დონე სპეციალურ საგნებში ყოფილიყო საკმაოდ მაღალი და აკადემიაში კონკურსის შედეგად შერჩეული კონტიგენტი სავსებით მომზადებული იყო საკავშირო პროგრამებით გათვალისწინებული მოთხოვნების მაღალ დონეზე შესასრულებლად. ამ საკითხებს, ისტორია (ყოველ შემთხვევაში აკადემიის ისტორია) თავის დროზე მისცემს შეფასებას.

თბილისის სამხატვრო აკადემიამ დაარსების დღიდან (1922 წლის მაისი), თავისი არსებობის მანძილზე მძიმე და პერიპეტიებით აღსავსე გზა გაიარა. ახლადდაფუძნებული უმაღლესი სასწავლო დაწესებულებისათვის პირველი წლების ბუნებრივ სირთულეებს ემატებოდა მთლიანად სახელმწიფოში არსებული წინააღმდეგობები და სირთულეები, რაც გამოიხატებოდა ზოგადად განათლების სისტემაში ერთიანი სახელმწიფოებრი-



სამხატვრო აკადემია, დიპლომების დაცვა. 1973 წ.

Diploma defence at Tbilisi State Academy of Fine Arts

ვი სტრატეგიის არარსებობაში. ამის ნათელ მაგალითს აკადემიის და უნივერსიტეტის ერთ პედაგოგიურ ინსტიტუტში გაერთიანება წარმოადგენდა. საბედნიეროდ ეს უაზრო ქმედებები როგორც იქნა დამთავრდა და 1930-იანი წლებიდან აკადემიამაც დაიბრუნა დამოუკიდებლობა და დაიწყო არეული სიტუაციის თანდათანობით დალაგების პროცესი.

1939 წლიდან აკადემიის ცხოვრების ყველა ასპექტი და მისი თანდათანობითი განვითარება ჩემ თვალწინ მიმდინარეობდა. როდესაც მე აკადემიაში მივედი, სწავლის ხარისხი და განსკუთრებით სტუდენტების საკურსო და სადიპლომო ნამუშევრების პროფესიონალური დონე მნიშვნელოვნად

ჩამორჩებოდა წლების შემდგომ მიღწეულ დონეს. ასევე თვალში საცემი იყო მისალები გამოცდების მოცულობა და პროფესიონალური ხარისხი. სპეციალურ საგნებში მხოლოდ ორ მოცემულობას ვაკეთებდით – ფერწერაში ნატურმორტს, ხატვაში კი შიშველ ფიგურას. სამაგიეროდ ვაბარებდით თეორიულ გამოცდებს ყველა საგნებში, რასაც საშუალო სკოლაში ვსწავლობდით. ჩარიცხვა ხდებოდა ყველა გამოცდის ნიშნების ჯამით. მნიშვნელოვანი განსხვავება იყო იმ სადიპლომო ნამუშევრებს, რომლებიც დამსვდა აკადემიაში მისვლის დროს, და იმ ფერწერულ ტილოებს შორის, რომლებიც აკადემიის აღზევების პერიოდში სრულდებოდა. ცხადია, აკადემიის ნინსვლის საქმე-

ში გარკვეული დამამუხრუჭებელი გავლენა იქონია ომის წლებმა, როდესაც ძალიან ბევრი ნიჭიერი სტუდენტი იძულებული გახდა დაეტოვებინა აკადემია. მიუხედავად ამისა, ომის ბოლო წლებშივე მოხდა გარკვეული პროგრესი, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც აკადემია გადავიდა მესამე კურსის შემდეგ სტუდენტების სახელოსნოებში სწავლების სიტემაზე. ამის შემდეგ სახვითი ხელოვნების დარგში დაიწყო თანდათანობითი წინსვლა და აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრები ნელ-ნელა მიუახლოვდა კლასიკური რეალისტური ხელოვნების საუკეთესო მიღწევების დონეს.

ზოგადად, აკადემიის 90 წლიანი არსებობა შეიძლება პირობითად დაიყოს სამ 30 წლიან მონაკვეთად.

1922-1952 წლების განმავლობაში აკადემიამ გაიარა ყველა ახალშობილისათვის დამახასიათებელი წლები, როდესაც იგი ცდილობდა თვითდამკვიდრებას, ადგამდა პირველ ნაბიჯებს და გამომდინარე ქვეყნის საერთო წინააღმდეგობრივი მდგომარეობიდან, ცდილობდა ზოგადად აღმასვლის გზით თანდათანობით განვითარებას.

მეორე პირობითი პერიოდის განმავლობაში ში შეიძლება ითქვას, რომ აკადემიამ თავისი განვითარების ზენიტს მიაღწია. ამ დროს

მოხდა მისი მაქსიმალური მიახლოება აპოლონის მიერ ჩაფიქრებული უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციონირების მოდელთან. აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების საკურსო და სადიპლომო ნამუშევრები ინერგებოდა წარმოებაში და ხშირ შემთხვევებში იმსახურებდა ჯილდოებს როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო გამოფენებზე. არქიტექტურის ფაკულტეტის დიპლომები ასევე ხშირად იმსახურებდა მსოფლიო გამოფენების დიპლომებს. ამ დროს აკადემიამ, განვლილ ხანგრძლივ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შეძლო არნახული განვითარების მიღწევა როგორც რაოდენობრივად, ისე მაღალი შემოქმედებითი და პროფესიონალური დონის მხრივ.

მესამე პერიოდის განმავლობაში (1982 წლიდან დღემდე) აკადემია ინერციით კიდევ ახერხებდა თავისი სახის შენარჩუნებას, მაგრამ თანდათანობით მოხდა ის, რაც გარდაუვალი იყო თვით სახელმწიფოს მდგომარეობიდან გამომდინარე. ე. წ. „რეფორმამ“ კი თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია გადაჩეხა ისეთ უფსკრულში, საიდანაც სამწუხაროდ უკვე შეუძლებელი იქნება ამოსვლა.

2014 წელი



ოთარ ჯაფარიძე და ოლიკო ჟღენტი. ოლიკო ჟღენტის ფოტო-არქივიდან

Otar Japaridze and Oliko Zhghenti. Photo archive of Oliko Zhghenti

ოლიკო ჟღენტი

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
კინოდოკუმენტალისტი

მადლობა ბატონ ოთარ ჯაფარიძეს...

2002 წელს ვიღებდი დოკუმენტურ ფილმს – „კნუტ ჰამსუნის კავკასიური მისტერიები“. ფილმი ცნობილი ნორვეგიელი მწერლისა და ნობელიანტის – კნუტ ჰამსუნის საქართველოში მოგზაურობას ასახავდა. აღმოჩნდა, რომ საქართველოში, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, კარგად იცნობდნენ და აფასებდნენ ჰამსუნის შემოქმედებას. მის „თაყვანისმცემლებს“ შორის კი იყვნენ ძმები – ლადო და გრიგოლ ჯაფარიძები – ცნობილი ხელოვანები და საზოგადო მოღვაწეები. ისიც შევიტყვე, რომ ბატონ ითარ ჯაფარიძის ოჯახში ინახებოდა დიდი ნორვეგიელი მწერლის ფოტო, მწერლის სამახსოვრო წარწერი... ეს გახლდათ ის მოტივი, რამაც საშუალება მომცა პირადად გამეცნო ბატონი ითარ ჯაფარიძე.

კინოკერატორთან – ნუგზარ ნოზაძეს-თან ერთად ბატონ ითარს სახლში ვესტუმრე, რომელიც შიო-მღვიმელის ქუჩაზე, გამოჩენილი მხატვრის – უჩა ჯაფარიძის ყოფილ ბინა-სახელოსნოშია განთავსებული.

რადგან წინასწარ შეთანხმებული ვიყავით, ბატონ ითარს ჩვენი მისვლის მიზეზი აღარ უკითხავს. იგი თავაზიანად მოგვესალმა და ცოტა ხნის შემდეგ მოზრდილი ზომის ფოტოსურათი გამოგვიტანა, რომელზეც პერგა-მენტის თხელი ქაღალდი იყო გადაკრული...

ბატონმა ოთარმა ქაღალდი ფაქიზად გადა-ფურცლა და მუყაოს სქელ ჩარჩოში ჩასმული კნუტ ჰამსუნის ფოტოც მაჩვენა. იქვე იყო მისივე ავტოგრაფი და სამახსოვრო წარწერა, რომელიც ბატონმა ოთარმა გერმანულ ენაზე წაიკითხა: „მადლობა თბილი და სიყვარულით აღსავსე წერილისთვის, 16 დეკემბერი, 1935 წელი“.

ბატონმა ოთარმა მისთვის ჩვეული რიდით, სიმშვიდითა და კრძალვით გვიამბო, თუ როგორ აღმოჩნდა ეს ფოტოსურათი მისი მამის, გრიგოლ ჯაფარიძის, ოჯახში. შევნიშნე, რომ საუბარში, ბატონ ითარს მღელვარება ეუფლებოდა, ბოლოს ცრემლიც კი მოადგა... რადგან ეს მოგონება არამხოლოდ დიდ ნორვეგიელ მწერალთან, არამედ, ბატონი ითარის ბავშვობასთანაც იყო დაკავშირებული...

„ჩვენ ერთი პერიოდი ორბელიანის ქუჩაზე ვცხოვრობდით, „ალექსანდრეს ბალთან“ ახლოს, – გვეუბნება ბატონი ითარი, – ამ ბალის წინ მდებარეობდა სასტუმრო „ლონდონი“, სადაც ჰამსუნი ცხოვრობდა... მამაჩემი, შინისკენ მიმავალი, ყოველთვის გაივლიდა ხოლმე ამ შენობასთნ და აქედან დაებადა სურვილი მიეწერა კნუტ ჰამსუნისთვის წერილი...“. სწორედ ამ წერილის ჰასუხად გამოუგზავნია დიდ მწერალს თავისი ფოტო სამახსოვრო წარწერით: „მადლობა ბატონ

გრიგოლ ჯაფარიძეს თბილი და სიყვარულით
აღსავსე წერილისთვის, 16 დეკემბერი, 1935
წელი.“

ბატონ ოთარს ვთხოვეთ, რომ, ფილმის
გადაღება ორბელიანის ქუჩაზე გაგვეგრძე-
ლებინა. ისიც სიამოვნებით დაგვთანხმდა.
მეორე დღეს დანიშნულ ადგილას მივედით.
ბატონმა ოთარმა იმ სახლთან მიგვიყვანა,
სადაც მან თავისი ბავშვობა და ყმანვილობის
წლები გაატარა. მახსოვს, როგორ შეაღმო მძი-
მე ალაყაფის კარი – შავი უზარამარი ჭიშკა-
რი და ნელი ნაბიჯებით შეგვიძლვა თბილისურ
ეზოში ... ხის აივნებიანი სახლის ფასადთან
შეჩერდა, მაღლა აიხედა და ხელით გვიჩვენა:
„აი, აქ ვცხოვრობდით... ფასადი თითქმის არ
შეცვლილა...“ შემდეგ ეზოს მოავლო თვალი
და კუთხეში ონკანი შენიშნა... „ონკანიც არ
შეცვლილა, ისევე დგას, როგორც მაშინ...“ ბა-
ტონი ოთარი გარეგნულად სიმშვიდეს ინარ-
ჩუნებდა, მაგრამ შინაგანი მღელვარება მაინც
ეტყობოდა... ჩვენ კი ამ ბუნებრივ განცდას
და ემოციებს ფირზე ვიღებდით, აღვბეჭდავ-
დით... ცოტა ხნაში, როგორც ხდება ხოლმე,
აივნიდან მეზობლები გადმოდგნენ... ზოგიც
ქვემოთ ჩამოვიდა, როცა ბატონი ოთარის
შესახებ გაიგეს, თავაზიანად მიესალმენ, გა-
მოელაპარაკენ... უმეტესობა ახალმოსახლეე-
ბი იყვნენ. უფროსი თაობიდან მხოლოდ ერ-
თი ხანდაზმული ქალბატონი იყო დარჩენილი,
რომელსაც ბატონი ოთარი ყოფილი მეზობ-
ლების შესახებ დაეკითხა...“

ეს დღე ბატონი ოთარისთვის, ალბათ,
ერთ-ერთი გამორჩეული და სამახსოვრო იყო

... სახეზე კმაყოფილება ეტყობოდა. შემდეგ
ბატონი ოთარი სამხატვრო აკადემიაში, ლექ-
ციის დროს გადავიღეთ – ისევ ჩვეულ სიმ-
შვიდეს ავლენდა სტუდენტებთან ურთიერ-
თობაში... მოკლედ და გარკვევით უხსნიდა
ნატურიდან ხატვის გაკვეთილს. 2004 წელს
ბატონი ოთარი ჩვენი ფილმის პრემიერაზე
მოვიწვიეთ, რომელიც რუსთაველის კინო-
თეატრში შედგა. მოგვიანებით, მისი შვილის,
რამაზის საშუალებით შემომითვალა, რომ –
ფილმი ძალიან მომენტნაო. მისი სიტყვები
ჩემთვის ძალზე ძვირფასია, ისევე როგორც
ლადო ჯაფარიძის წიგნი, რომელიც ბატონ-
მა ოთარმა თავად მისახსოვრა და რომელიც
ოთარ ჯაფარიძის ოჯახის ისტორიასაც მოი-
ცავს. დღეს ამ ისტორიის გაგრძელებას და
მატიანეს თავად ბატონი ოთარი წარმოად-
გენს – უკვე საუკუნეს მიღწეული, ყველას-
თვის საყვარელი პიროვნება, პედაგოგი და
ხელოვანი.

ბატონი ოთარი ღირსეულად აგრძელებს
იმ წინაპრების მემკვიდრეობით ხაზს, რომ-
ლებიც ქართულ კულტურას და ხელოვნებას
ემსახურებოდნენ.

ვულოცავ ბატონ ითარს მნიშვნელოვან
საიუბილეო თარიღს – 100 წელს. მადლიერი
ვარ მისი თბილი და სიყვარულით აღსავსე
სიტყვებისთვის, რომელიც მან ლადო ჯა-
ფარიძის წიგნზე წააწერა: „ოლიკო უღენტს,
კნუტ ჰამსუნის დაუღლავ პოპულარიზა-
ტორს!“.





ჩელოზე დამკვრელი (ესკიზის ვარიანტი). მუჟაო, ზეთი, 13,5 X 10,5, 1946
Cellist (sketch). Oil on cardboard, 13,5 X 10,5, 1946



ვიოლონჩელისტი. ქაღ., ზეთი, 16 X 14, 1946

Cellist. Oil on paper, 16 X 14, 1946



პიანისტი (ესკიზის ვარიანტი). ქაღ., ტუში, 12,5 X 9, 1946

Pianist (sketch). Indian ink on paper, 12,5 X 9, 1946



კონცერტი ვიოლინსა და ორკესტრისათვის (ესკიზი). მუჟაო, ზეთი, 12 X 30, 1948

Concerto for violin and orchestra (sketch). Oil on cardboard, 12 X 30, 1948



კონცერტი (ესკიზი). მუჟაო, ზეთი, 22 X 50, 1951

Concert (sketch). Oil on canvas, 22 X 50, 1951



პიანისტი. ქაღ., ტუში, 5 X 5, 1995

Pianist. Indian ink on paper, 5 X 5, 1995




პიანისტი. ქაღ., ტუში, 4 X 8, 1998

Pianist. Indian ink on paper, 4 X 8, 1998



მუსიკოსები. მუქამ, ზეთი, 66 X 97, 1948

Musicians. Oil on cardboard, 66 X 97, 1948



სევდა. ქალ., ტუში, 7,5 X 4, 5, 1945

Melancholy. Indian ink on paper, 7,5 X 4,5, 1945



მწოლიარე შიშველი ბიჭის ფიგურა. ქაღ., ნახშ., 43,8 X 61,5, 1945

Lying nude boy. Charcoal on paper, 43,8 X 61,5, 1945



შიშველი მოდელი. ტილო, ზეთი, 90 X 60, 1948

Naked model. Oil on canvas, 90 X 60, 1948



ქალი ბერეტით (ეტიუდი). ტილო, ზეთი, 55 X 45, 1942

Woman with beret (sketch). Oil on canvas, 55 X 45, 1942



ნატურმორტი ყვავილებით. მუჟაო, ზეთი, 36 X 28, 1966

Flower-piece. Oil on cardboard, 36 X 28, 1966



ოთარ ჯაფარიძის ექსლიბრისი. ქალ., ფლომასტერი, 7,5 X 4,5, 1947

Ex-Libris of Otar Japaridze. Felt-tip pen on paper, 7,5 X 4,5, 1947




ნათელას პორტრეტი. ტილო, ზეთი, 44 X 36, 1950

Portrait of Natela. Oil on canvas, 44 X 36, 1950




მოხუცი ჩოხაში. ტილო, ზეთი, 80 X 50, 1943

Old man wearing Chokha. Oil on canvas, 80 X 50, 1943



მხატვრის მეულლის - ლამარა გიორგობიანის პორტრეტი. ტილო, ზეთი, 33 X 27, 1952

Portrait of artist's wife, Lamara Giorgobiani. Oil on canvas, 33 X 27, 1952




ავტოპორტრეტი. მუქამ, ზეთი, პასტელი, 28,5 X 34,5, 1998

Self-portrait. Oil, pastel on cardboard, 28,5 X 34,5, 1998



ძველი თბილისი. მუჟაო, ზეთი, 15 X 20, 1944

Old Tbilisi. Oil on canvas, 15 X 20, 1944



საზაფხულო საძოვრებზე. ტილო, ზეთი, 66 X 55, 1951; ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
The summer pasturelands. Oil on canvas, 66 X 55, 1951; Oni Ethnographic Museum




შოვის პირველი სანატორიუმი. ტილო, ზეთი, 53 X 70, 1951; ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
The first sanatorium in Shovi. Oil on canvas, 53 X 70, 1951; Oni Ethnographic Museum



გაღმა ლარი. მუყაო, ზეთი, 23,5 X 30, 1953

Gaghma Ghari. Oil on cardboard, 23,5 X 30, 1953




ხე წმენდაურის გზაზე. მუკამ, ზეთი, 25 X 35,5, 1953

Tree on Tsmendauri road. Oil on canvas, 25 X 35,5, 1953



რაჭული სახლი. მუჟაო, ზეთი, 25 X 22, 1956

House in Ratcha. Oil on cardboard, 25 X 22, 1956




ღარი. დილის ბურუსი. ტილო მუყაოზე, ზეთი, 25 X 16, 1956

Ghari. Morning fog. Oil, canvas on cardboard, 25 X 16, 1956



ღრუბლები. ტილო მუყაოზე, ზეთი, 25 X 16, 1957

Clouds. Oil, canvas on cardboard, 25 X 16, 1957



სახერხი. მუკამ, ზეთი, 25 X 35, 1959

Sawmill. Oil on cardboard, 25 X 35, 1959



ମୋଦା. କାନ୍ତିରାମ, 20 X 30, 1960

Mount Shoda. Indian ink on paper, 20 X 30, 1960




სახლი სოფ. ზუდალში. მუჟაო, ზეთი, 28 X 35, 1960

House in the village of Zudal. Oil on cardboard, 28 X 35, 1960



შოვი, მეორე სანატორიუმი. ტილო მუყაოზე, ზეთი, 25 X 35, 1960


Shovi, The second sanatorium. Oil on cardboard, 25 X 35, 1960



შოვის მეორე სანატორიუმი. მუჟაო, ზეთი, 50 X 70, 1960; ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
The second sanatorium in Shovi. Oil on cardboard, 50 X 70, 1960; Oni Ethnographic Museum



ირის ბარიტის წარმოების ხედი. ტილო, ზეთი, 80 X 120, 1960; ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
View to the barite company in the village of Iri. Oil on canvas, 80 X 120, 1960; Oni Ethnographic Museum



კურორტი შოვი. ტილო, ზეთი, 70 X 140, 1960; ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
Shovi resort. Oil on canvas, 70 X 140, 1960; Oni Ethnographic Museum



სადმელი - კლდეკარი. ტილო მუყაოზე, ზეთი, 49 X 70, 1960

Sadmeli – Kldekari. Oil, canvas on cardboard, 49 X 70, 1960



გურია. ეტიუდი. მუყაო, ზეთი, 16 X 29, 1961

Guria (sketch). Oil on cardboard, 16 X 29, 1961



გურია. ჩაის პლანტაციები. მუყაო, ზეთი, 19 X 29, 1961

Guria. Tea-plantation. Oil on cardboard, 19 X 29, 1961



გურია. ეტიუდი. მუყაო, ზეთი, 17 X 25, 1961

Guria (sketch). Oil on cardboard, 17 X 25, 1961




გურია. ეტიუდი. მუყაო, ზეთი, 19 X 35, 1961

Guria (sketch). Oil on cardboard, 19 X 35, 1961



გურული ოდა. ეტიუდი. მუყაო, ზეთი, 18 X 25, 1961

Wooden house in Guria (sketch). Oil on cardboard, 18 X 25, 1961



ღარი. მუყაო, ზეთი, 25 X 16, 1962

Ghari. Oil on cardboard, 25 X 16, 1962




ღარი. წვიმა მოდის შოდიდან. მუკაო, ზეთი, 17 X 25, 1965

Ghari. Raining from Shoda. Oil on cardboard, 17 X 25, 1965



შოდა. მუყაო, ზეთი, 50 X 35, 1970

Mount Shoda. Oil on cardboard, 50 X 35, 1970




ჩვენს ტყეში. მუყაო, ზეთი, 25 X 30, 1970

In our forest. Oil on cardboard, 25 X 30, 1970




ზვინები. მუყაო, ზეთი, 35 X 50, 1975

Haystacks. Oil on cardboard, 35 X 50, 1975



ალვის ხე. მუყაო, ზეთი, 25 X 16, 1976

Poplar tree. Oil on cardboard, 25 X 16, 1976



შოდა დილით. მუყაო, ზეთი, 25 X 35, 1980

Shoda in the morning. Oil on cardboard, 25 X 35, 1980




ზემო რაჭის სოფლის ხედი. შოუბანი. მუყაო, ზეთი, 25 X 34,5, 1980

View of the village in Zemo Racha. Shoubani. Oil on cardboard, 25 X 34,5, 1980



ძველი სახლი ღარში. ტილო მუყაოზე, ზეთი, 14,5 X 18, 1981

Old house in Ghari. Oil, canvas on cardboard, 14,5 X 18, 1981




ოსური სოფელი კვაისას მახლობლად. მუჟაო, ზეთი, 25 X 34, 1982

Ossetian village near Kvaisa. Oil on cardboard, 25 X 34, 1982




ღები. ქალ., ტუში, აკვარელი, 18 X 14,5, 1994

Village of Ghebi., Indian ink, water-color on paper. 18 X 14,5, 1994



რაჭა. სოფ. ღები. მუყაო, ზეთი, 20 X 20, 1994

Racha. Village of Ghebi. Oil on cardboard, 20 X 20, 1994



ჩემი სოფლის მიდამოები. მუყაო, ზეთი, 25 X 35, 1994

Neighborhood of my village. Oil on cardboard, 25 X 35, 1994




შოდა დათოვა. ტილო მუყაოზე, ზეთი, 18 X 50, 1994

Snowy Shoda. Oil, canvas on cardboard, 18 X 50, 1994




რაჭის მთები. ფერადი ქაღ., ფერადი ფანქარი, ტუში, 6,5 X 15, 1994

Mountains of Racha., Indian ink, colored pencil on color paper. 6,5 X 15, 1994




ღები. ტილო, ზეთი, 58,5 X 50, 1994

Village of Ghebi. Oil on canvas, 58,5 X 50, 1994



გარიყულა. ფავნისი. ქაღ., ტუში, კალამი, 17,5 X 31, 1995

Garikula. Pavnisi. Indian ink, pen on paper, 17,5 X 31, 1995




შოდა. მუყაო, ზეთი, 35 X 25, 1995

Shoda. Oil on cardboard, 35 X 25, 1995




ჩემი სოფელი. ქაღ., ტუში, გუაში, 17 X 12, 1995

My village. Indian ink, gouache on paper, 17 X 12, 1995



რაჭის სოფელი. მუყაო, ზეთი, 25 X 35, 1996

Village in Ratcha. Oil on cardboard, 25 X 35, 1996




შოდა და გაღმა ლარი წმენდაურის გზიდან. ტილო მუყაოზე, ზეთი, 35 X 25, 08.09.1996

View of Shoda and Gaghma Ghari from Tsmendauri road. Oil, canvas on cardboard, 35 X 25, 08.09.1996



შოუბანი. მუკამ, ზეთი, 32 X 49, 1997

Shoubani. Oil on cardboard, 32 X 49, 1997



სოფელი ნაკითი. ქაღ., ტუში, აკვარელი, 9 X 12,5, 1997

Village Naketi. Watercolor, ink on paper, 9 X 12,5, 1997




ხედი ნაკითიდან. ქაღ., ტუში, 9,5 X 13, 1997

View from Naketi. Ink on paper, 9,5 X 13, 1997



ალვის ხეები სვანეთში. ქაღ., ტუში, აკვარელი, 10 X 7, 1997

Poplar tree in Svaneti. Watercolor, ink on paper, 10 X 7, 1997



სახლი სოფ. ზუდალში. ფერადი ქაღ., ტუში, აკვარელი 15 X 14, 1998

House in the village of Zudal. Indian ink, watercolor on colored paper, 15 X 14, 1998




იმერეთი. ქაღ., ტუში, აკვარელი, 16 X 26, 1998

Imereti. Indian ink, water-color on paper, 16 X 26, 1998



ინგუშეთის სოფელი. ფერადი ქაღ., ტუში, აკვარელი, თეთრა, 8 X 11, 1998

The Ingush village. Indian ink, lead white, pencil on colored paper, 8 X 11, 1998




ჩემი სოფელი. ტილო მუჟაოზე, ზეთი, 34,5 X 32,5, 1998

My village. Oil, canvas on cardboard, 34,5 X 32,5, 1998




შოდა ნაშუადღეეს. ტილო მუყაოზე, ზეთი, 25 X 35, 1999

Shoda in the afternoon. Oil, canvas on cardboard, 25 X 35, 1999




რაჭა. ქაღ., ტუში, აკვარელი, 18 X 12, 1999

Racha. Water color, ink on paper, 18 X 12, 1999



ხის ეტიუდი. მუკამ, ზეთი, 35 X 25, 1969

Sketch of the tree. Oil on cardboard, 35 X 25, 1969




ჩვენი ტყის სიმფონია, ქალ., ტუში, აკვარელი, 17 X 12, 2003

Symphony in our forest. Watercolor, ink on paper, 17 X 12, 2003



ხე. ტილო მუყაოზე, ზეთი, 21 X 14,5, 1944

Tree. Oil, canvas on board, 21 X 14,5, 1944




ხე ღარის ტყეში. ტილო მუყაოზე, ზეთი, 20 X 11,5, 1947

Tree in the forest of Ghari. Oil, canvas on cardboard, 20 X 11,5, 1947



უფლისციხე. კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარი და სამონასტრო კომპლექსი. ძვ.წ.აღ. II-I ათასწლეული - XV ს.
ქალ., ტუში, აკვარელი, 9 X 14, 2006

Uphlistsikhe cave town and monastery complex. 2-1 mill. B.C. – 15th c. Watercolor, ink, paper, 9 X 14, 2006




მცხეთა. სამთავროს მცირე ეკლესია. IV ს. ქალ., აკვარელი, ტუში, 11 X 9, 2010

Samtavro Small Church in Mzcheta. IVth c. Watercolor, ink on paper, 11 X 9, 2010



ზეგანი. წმ. მარინეს ეკლესია. V ს. ქალ., ტუში, აკვარელი, 9 X 14, 2008


Zegaani Monastery. 5th c. Watercolor, ink on paper, 9 X 14, 2008




ფოტ. ნიკა ვახანაშვ
Photo by Nika Vakhania

ბოლნისის სიონი. 478 – 493 წწ. ქაღ., ტუში, აკვარელი, თეთრა, 12 X 18,5, 1998

Bolnisi Sioni. 478 – 493. Watercolor, ink, lead white oil, color paper, 12 X 18,5, 1998




ბოლნისის სიონის სამრეკლო. XVII ს-ის ბოლო წლები.
ფერადი ქაღ., ფანჯარი, ტუში, გუაში, 14 X 12, 2002
Bell tower of Bolnisi Sioni. End of 17th c.
Gouache, ink, pencil, color paper, 14 X 12, 2002




ბოლნისის სიონი. 478 – 493 წწ. ქალ., ტუში, აკვარელი, 9 X 14

Bolnisi Sioni. 478 – 493. Watercolor, ink on paper, 9 X 14




ქვემო ბოლნისის წმინდა გიორგის სახელობის სამეკლესიანი ბაზილიკა. V-VI სს.
ქაღ., ტუში, აკვარელი, 10 X 15, 2005

St. George basilic church in Kvemo Bolnisi. V-VI c. Watercolor, ink on paper, 10 X 15, 2005




ხაშმი. V-VI საუკუნეთა მიჯნა. ქაღ., ტუში, აკვარელი, 9 X 14, 2008

Khashmi Church. 5-6th c. Watercolor, ink on paper, 9 X 14, 2008



თბილისი, ანჩისხატის ეკლესია. VI - ის I მეოთხ. ქალ., ტუში, აკვარელი, 9 X 14, 2008

Anchiskhati Church in Tbilisi. 1st quarter of 6th c. Watercolor, ink on paper, 9 X 14, 2998




მანგლისი. V და XI სს. ქალ., ტუში, აკვარელი, 12 X 18, 2008

Manglisi. 5th and 11th c. Watercolor, ink on paper, 12 X 18, 2008



მცხეთა. წმ. ჯვრის ტაძარი. 586/587 – 604/605 წწ. ქალ., ტუში, კალამი, 13,5 X 17,5, 1995



Mtskheta Church of Holy Cross. 586/587 – 604/605. Ink, pen, paper, 13,5 X 17,5, 1995





მცხეთა. წმ. ჯვრის ტაძარი. 586/587 – 604/605 წწ. ქალ., ტუში, აკვარელი, 18 X 12, 1996

Mtskheta Church of Holy Cross. 586/587 – 604/605. Watercolor, ink, paper, 18 X 12, 1996



მცხეთა. წმ. ჯვრის ტაძარი. 586/587 – 604/605 წწ. ქალ., კალამი, აკვარ ელი, 13 X 9, 1998

Mtskheta Church of Holy Cross. 586/587 – 604/605. Watercolor, ink, paper, 13 X 9, 1998



მცხეთა. № გვრის ტაძარი. 586/587 – 604/605 წწ. ქალ., ტუში, აკვარელი, 11 X 16, 2005

Mtskheta Church of Holy Cross. 586/587 – 604/605. Watercolor, ink, paper, 11 X 16, 2005



მცხეთა. წმ. ჯვრის ტაძარი. 586/587 – 604/605 წწ. ქალ., ტუში, აკვარელი, 10 X 15, 2008

Jvari Monastery. Mtskheta. 586/587 – 604/605. Watercolor, ink on paper, 10 X 15, 2008




მცხეთა. წმ. ჯვრის ტაძარი. 586/587 – 604/605 წწ. ქალ., ტუში, აკვარელი, 14 X 11, 2008

Jvari Monastery. Mtskheta. 586/587 – 604/605. Watercolor, ink on paper, 14 X 11, 2008




მცხეთა. წმ. ჯვრის ტაძარი. 586/587 – 604/605 წწ. ქალ., ტუში, აკვარელი, 14 X 11, 2008

Jvari Monastery. Mtskheta. 586/587 – 604/605. Watercolor, ink on paper, 14 X 11, 2008



ერალაანთ საყდარი. V-VI სს. ქალ., ტუში, აკვარელი, 10 X 12, 2005

Erelaant Church. 5-6th c. Watercolor, ink, paper, 10 X 12, 2005




ძველი შუამთის მონასტერი. V – VII სს. ქაღ., ტუში, 10 X 18, 1995

Old Shuamta Monastery. 5-7th c. Ink, paper, 10 X 18, 1995




ძველი შუამთა, სამონასტრო კომპლექსი. V-VII სს. ქალ., ტუში, აკვარელი, 11 X 16, 2008

Old Shuamta Monastery. 5-7th c. Watercolor, ink on paper, 11 X 16, 2008



ძველი გავაზის ღვთისმშობლის ეკლესია. VI ს. ქად.,
ტუში, აკვარელი, 14 X 10, 2005

Virgin Mary Church in Old Gavazi. 6th c. Watercolor, ink,
paper, 14 X 10, 2005



იდლეთი. იოანე ნათლისმცემლის ტაძარი. VI ს-ის | ნახევარი. ქალ., ტუში, აკვარელი, 9 X 14, 2000

St. John the Baptist Church in Idleti. 1st half of 6th c. Watercolor, ink, paper, 9 X 14, 2000



სამწევრისის წმინდა გიორგის ტაძარი. VII ს. მუყაო, ზეთი, 17 X 24, 1995

Samtsevrisi St. George Church. 7th c. Oil, cardboard, 17 X 24, 1995



სამწევრისის წმინდა გიორგის ტაძარი. VII ს.

Samtsevrisi St. George Church. 7th c.



სამწევრისის წმინდა გიორგის ტაძარი. VII ს. ქალ., ტუში, აკვარელი, 10,5 X 11, 1997

Samtsevrisi St. George Church. 7th c. Watercolor, ink, paper, 10,5 X 11, 1997



სამწევრისის წმინდა გიორგის ტაძარი. VII ს. ქალ., ტუში, აკვარელი, 8 X 14, 1998

Samtsevrisi St. George Church. 7th c. Water color, ink on paper, 8 X 14, 1998



სამწევრისის წმინდა გიორგის ტაძარი. VII ს. ქალ., ტუში, აკვარელი, 12 X 14, 1995

Samtsevrisi St. George Church. 7th c. Watercolor, ink, paper, 12 X 14, 1995




სამწევრისის წმინდა გიორგის ტაძარი. VII ს. ქალ., ტუში, აკვარელი, 8,5 X 8,5, 2001

Samtsevrisi St. George Church. 7th c. Watercolor, ink, paper, 8,5 X 8,5, 2001




სამწევრისის წმინდა გიორგის ტაძარი. VII ს. ქალ., ტუში, აკვარელი, 15 X 15, 2001

Samtsevrisi St. George Church. 7th c. Watercolor, ink, paper, 15 X 15, 2001




